საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 7 თებერვალი. 2024 წ. №15 (9695) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეული სიფაქვაა, ტაქტიანობით და ჭირვეულობით ბუტის გაფანა ყველა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

დავით ალმაშენებლის დღე

დავით IV-ის ფრესკა, XIX ს. შიომღვიმის მონასტერი.

როინ მეტრეველი:

დიდ საქმეთა შემოქმედი ქართველი მეფე თანამედროვეებმა და შთამომავლობამ წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ ღირსსახსოვარი თარიღი 26 იანვარი (8 თებერვალი) დაწესდა.

იხ. 3 გვ.

უნივერსიტეტი – 106

ზურაბ გაიპარაშვილი:

რეპრესიებს გადარჩენილი „დონ კიხოტი“ 3

სალომე ზურაბიშვილი:

ამაოდ ცდილობთ, პოლიტიკური ჭიდილის არენაზე გადამიყვანოთ! 2

უცხოეთის სპეცსამსახურები ეფექტურად იყენებენ ჩვენს სასარგებლო იდიოტებს! 6

მართლა ამხელა მევახშეთა ოლიგარქები ხართ, ბიჭებო?! 8

ვისი მაზაკვალია ანდრეი შარაშიძე?! 8

9 გავა თუ არა გამოძიება ალექსანდრე ჭიკაიძის კვალზე?!



დიდი მსახიობის იუბილე სამტრედიაში 12

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი 5



კარლო ქობალია კაცი, სინდისნამუსის განსახიერება 7

უკომენტაროდ გთავაზობთ საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მთავარ სათქმელს პარლამენტში მისი ბოლო, წლიური, ძალიან ვრცელი ანგარიშიდან

სალომე ზურაბიშვილი:

ამაოდ ცდილობთ, პოლიტიკური ჭიდილის არენაზე გადამიყვანოთ!

...ეს მომავალი არჩევნები განსაზღვრავს ჩვენს მომავალს, თქვენი, თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა და მოვალეობაა, აქტიურად ჩაერთოთ მომავალ არჩევნებში. აქტიურად ჩართვა ნიშნავს სრულ მობილიზაციას. და თუ მომავალი დღეს წყდება, ამ მომავლის შექმნაში არმონაწილეობა უკვე დანაშაულია!

მივმართავ დიასპორაში მყოფ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებსაც არანაკლებ ევალებათ ქვეყნის მომავლის შექმნაში მონაწილეობის მიღება: თქვენ უნდა იცოდეთ თქვენი უფლებები, დროულად გაიაროთ საკონსულო რეგისტრაცია, რათა უმოკლეს ვადებში შეძლოთ ახალი საარჩევნო უბნების გახსნის მოთხოვნა, რაც კანონით გეკუთვნით. სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, მოითხოვოთ არჩევნების დღეების გაზრდა. უნდა იცოდეთ, რომ არჩევნებში მონაწილეობა თუნდაც არალეგალებისთვის საფრთხის მქონე არ არის, რასაც ჩვენი პარტნიორები სიტყვიერად, თუ პრაქტიკით ადასტურებენ. მე პირადად ვიქნები თქვენი საარჩევნო უფლებების დამცველი.

მივმართავ ახალგაზრდობას, თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით შარშანდელ გამარჯვებაში და ახლაც შემდეგი ეტაპისათვის მზადებაში თქვენი ჩართულობა გადამწყვეტი იქნება.

ეს თქვენი ქვეყანაა, მრწყინვალე წარსულით და არანაკლებ მრწყინვალე მომავლით, არავის დაუტოვოთ, გაიხსენეთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არჩევნებში სწორედ ახალგაზრდების არნახულმა აქტიურობამ გადაწყვიტა ამ თუ იმ არჩევნების შედეგები და შეცვალა მომავალი. ეს თქვენც შეგიძლიათ! დაბოლოს, ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ეს არ იქნება ჩვეულებრივი არჩევნები, სადაც ვირჩევთ რომელიმე პარტიას მეორის ნაცვლად, ამა თუ იმ პროგრამას, ამა თუ იმ ლიდერს, ან კიდევ არცერთი მოგვწონს და ამიტომ თავს ვიკავებთ. დღეს ჩვენი ისტორიის გადამწყვეტი ეტაპია და ამ ეტაპზე ვდგავართ, სადაც არჩევნებით უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი მომავალი, მივცეთ ხმა ახალი მმართველობის მოდელს, ახალ ეკონომიკას, ესე იგი, ახალ, ევროპულ სახელმწიფოს.

არ გეგონოთ, რომ ამ ისტორიული ამოცანის წინაშე, მე არ ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას. არა როგორც კონკრეტული სამართლებრივი ან მატერიალური გერკეტების მქონე, რაც არ გამაჩნია, არამედ როგორც მორალური ძალა და სახელმწიფოებრივი პოზიციის გამტარებელი, ამიტომ ამ ძალიან რთულ პერიოდში, მე თქვენ გვერდით ვიქნები, როგორც ამ პროცესების დამკვირვებელი, შემდუღებელი და ზედამხედველი.... ვიღაცას შეიძლება იმედი ჰქონდა, ან კიდევ აქვს, რომ წყენა, შევიწროება, ან სხვა რამ დამღლიდა, გამტეხდა და უარს მათქმევინებდა თქვენ წინაშე დადებულ ფიცზე. პირიქით მე ამ ფიცის უზარმაზარ ძალას დღესაც ვგრძნობ და გოლომდე ვიქნები ჩემს ადგილზე, ამ ფიცის და კონსტიტუციის გოლომდე ერთგული.

ასევე, ვიღაცას შეიძლება ძალიან აწყობდეს, რომ გადამიყვანოს პოლიტიკური ჭიდილის არენაზე და რომელიმე პოლიტიკური ძალის, პოზიციის, თუ ოპოზიციის ლიდერად წარმომაჩინოს. ამაოდ! ეს გზა გავლილი მაქვს. მჯერა, რომ ქვეყანას დღეს სწორედ უპარტიო, თუმცა, არა უპრინციპო, სტრატეგიული ხედვის და არა პოლიტიკური ამბიციის და პირადი ინტერესების მქონე სახელმწიფო ლიდერი სჭირდება, რომელიც გოლომდე ემსახურება მთავარ მიზანს: საბჭოთა წარსულის ევროპული მომავლით ჩანაცვლებას, ქვეყნის დამოუკიდებლობის სამუდამოდ გამყარებას თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპული ოჯახის წიაღში.

უაღრესად მედნიერი ვარ, რომ სწორედ ამ მანდატის დროს გადაიდგა ევროპისკენ ესოდენ გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ჩემი ჩართვის მთავარი მიზანი იყო და არის. არც ვაპირებ და არც მჭირდება ვინმეს შევეჯიბრო იმაში, თუ რა წვლილი მიმიძღვის ამ გამარჯვებაში, რამეთუ ეს საქართველოს მიღწევაა! ახლა გარჩევების დრო არაა, არამედ ამ მიღწევის ბოლომდე მიყვანის დროა!

მე, პირადად, ამ მიზნის ბოლომდე მისაღწევად არ დავიშურებ ძალასა და ენერგიას, მცდელობას არ მოვაკლებ ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ.

გაფრთხილებთ ყველას, დაინახეთ და შეიგრძენით, რომ ქვეყანა და ჩვენი უაღრესად დაღლილი და ყველას მიმართ იმედგაცრუებული საზოგადოება, ვეღარ იტანს გაუთავებელ სიძულვილს, ერთი მეორის გამომრიცხავ და გამანადგურებელ არჩევნებს, რევანშის ქადაგებას და განტევების ვაცის გაუთავებელ ძიებას. ქვეყანას სჭირდება დამშვიდება და დაცულობა, რაც მთავარია, ქვეყნის მომავლის დანახვა და ამ ქვეყანაში საკუთარი პერსპექტივის აღმოჩენა და დაჯერება. ამიტომ, დღეს, ამ ტრიბუნიდან გთავაზობთ არსებული ჩიხიდან გამოსვლის ფორმულას და გზას, რათა არ გავუშვათ ხელიდან ეს უნიკალური შანსი.

ქვეყანას სჭირდება ერთობა. საზოგადოებას აღარ სჯერა და აღარ სურს იხილოს არაერთხელ უკვე გავლილი პარტიების გაერთიანების სქემები. ასევე, არ სჯერა ცალ-ცალკე, ტოტალურ გამარჯვებაზე გამოცხადებული პრეტენზიების. სჭირდება რეალური მიზანი და ამ ერთი მიზნის ირგვლივ ცოცხალი ძალების შეკრება და ენერგიის მობილიზება.

მიზანი გაგვაჩნია – ევროპული მომავალი, ამისათვის მთავარ პრიორიტეტებზე შეჯერებაა საჭირო. ამის მიღწევა შესაძლებელია ერთობლივი პლატფორმის ჩამოყალიბებით. ეს არის ის, რასაც გთავაზობთ, შევქმნათ, მომავლის ქარტია – **„ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“!**

მე მზად ვარ ამ პლატფორმის ჩამოყალიბებაში ჩემი პასუხისმგებლობა ავიღო და ჩემს ადმინისტრაციასთან დავაარსო საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ევროპულ პრიორიტეტებზე ყველა კონკრეტულ შეთავაზებას მოუყრის თავს და დიალოგით და კონსენსუსის წესით ხელს შეუწყობს ერთობლივი დოკუმენტის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით მომავალ დღეებში ვაპირებ მოვიწვიო პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებული პირები. ეს მიდგომა ინკლუზიური უნდა იყოს და მზად ვარ შევხვდე და მოვუსმინო ყველას.

სხვა გამარჯვების ფორმულა არ არსებობს, რამეთუ წარსულიდან წამოსული დაქსაქსულობა და დაპირისპირება, მხოლოდ სკეპტიციზმს და უიმედობას გააღვივებს, რაც პირველ რიგში, ქვეყანას ასუსტებს.

გამარჯვების ფორმულაში არ იგულისხმება რომელიმე მხარის, თუ პარტიის გამარჯვება, არამედ ერთობის, ევროპულობის და ქვეყნის გამარჯვება. ისე, როგორც 15 დეკემბერს გაიმარჯვა მთლიანად საქართველომ, ასევე ახლაც საქართველო უნდა გამოვიდეს გამარჯვებული: რეფორმების გატარებითა და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით. ეს სტაბილურობის, მშვიდობისა და წინსვლის ერთადერთი გარანტიაა.

როგორც იყო აქამდე, ჩემი პოლიტიკური გზის ყველა ეტაპზე, ჩემი როლი უცვლელი იქნება: ვიდგები დამოუკიდებლობის, ეროვნულობის, დემოკრატიისა და ევროპული მომავლის სადარაჯოზე. როგორც დღემდე, ისე ხვალაც ბოლომდე კატეგორიულად შევეწინააღმდეგები საბჭოთა, რუსულ წარსულში მიბრუნებისას ყველა მცდელობასა და ევროპული შესაძლებლობების საბოტაჟს.

დაგოლოს, მინდა ყველასთვის ნათელი იყოს, რომ ეს მშვიდობიანი, სამართლიანი და თანასწორი მომავალი მხოლოდ ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ ეკუთვნის მათ, ვინც დღეს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში ვეღარ იცავს ვერც ელემენტარულ ადამიანის უფლებებს, ვერც საკუთარ კულტურულ იდენტობას, ვერც ენას, და ვეღარც მინდგს ძალადობრივი გასხვისებისგან. ამის სანაცვლოდ, წინ გვესახება ევროპაში ერთად შესვლის საიმედო და სანდო გზა. ეს არის ჩვენი ქვეყნის უალტერნატივო მომავალი, ეს არის ჩვენი ხალხის ნება და ჩვენი ვალია ეს ნება აღვასრულოთ!

6 თებერვალი, 2024 წ.

ირაკლი კობახიძე:
ჩვენ ქართველი ხალხის წინაშე ვართ ანგარიშვალდებული!

სალომე ზურაბიშვილს კანდიდატის სტატუსის მიღების დღის ჩათვლით, ერთხელ ვერ ვათქმევინეთ, რომ საქართველო იმსახურებდა სტატუსს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

„ცხრა პუნქტის შესრულებისთვის ჩვენ პასუხისმგებელი, ანგარიშვალდებული ქართველი ხალხის წინაშე ვართ და არა სალომე ზურაბიშვილის წინაშე, რომელიც პირდაპირ დაუპირისპირდა ქართველ ხალხს, ქართველი ხალხის ინტერესებს და საქართველოს ევროინტეგრაციის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ის პირდაპირ ლობირებდა კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ. გახსოვთ თქვენ მისი განცხადებები. ერთხელ ვერ ვათქმევინეთ სალომე ზურაბიშვილს კანდიდატის სტატუსის მიღების დღის ჩათვლით, რომ საქართველო იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს“...

საერთოდ არ არის საინტერესო, პრეზიდენტი მოაწერს თუ არა ხელს მთავრობის დამტკიცებას!

„საერთოდ არ არის საინტერესო, მოაწერს თუ არ მოაწერს ხელს. კონსტიტუცია შეიცავს გარანტიებს კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, თუ პრეზიდენტი ამ შემთხვევაშიც იმოქმედებს კონსტიტუციის სულისკვეთების წინააღმდეგ, მას კიდევ ერთხელ დაუპირისპირდება კონსტიტუცია, რომელიც იცავს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ინტერესებს“, – განაცხადა კობახიძემ.

სალომე ზურაბიშვილის გეგმას პირდაპირ ეწინააღმდეგება საკაკაშვილის შეწყალება

„მე მგონია, უფრო სხვა გეგმები აქვთ სალომე ზურაბიშვილს და მის მეგობრებს. გეგმა უფრო მეტად ორიენტირებულია იმაზე, რომ სალომე ზურაბიშვილმა, როგორც ფსევდო შუაშისტურმა პოლიტიკოსმა, მიიღოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და ამ მიზანს პირდაპირ ეწინააღმდეგება თავისი არსით საკაკაშვილის შეწყალება. ამიტომ, მგონია, რომ აქცენტი გაკეთდება უფრო სალომე ზურაბიშვილის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე და არა საკაკაშვილის შეწყალებაზე“, – განაცხადა კობახიძემ.

ეს მოწოდება რადიკალური ოპოზიციური პარტიის შექმნის ანონსია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, „ქართული ოცნება“ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის შეთავაზებით ვერ იქნება დაინტერესებული.

კობახიძეს კითხვა დაუსვეს სალომე ზურაბიშვილის მიერ პარლამენტში გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც მან აღნიშნა: „ქვეყანას სჭირდება დამშვიდება, დაცულობა, ამიტომ, ამ ტრიბუნიდან გთავაზობთ არსებული ჩიხიდან გამოსვლის ფორმულას და გზას, შევქმნათ მომავლის ქარტია **„ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“.**

„სინამდვილეში, ეს არის მორიგი რადიკალური ოპოზიციური პარტიის შექმნის ანონსი, სხვა არაფერია. აქედან გამომდინარე, მუნებრივია, ამით ვერ ვიქნებით დაინტერესებული, ეს არის მისი საქმე. ვიღაცების მიზანია, სალომე ზურაბიშვილთან ერთად, კონკრეტულმა პოლიტიკურმა პარტიამ ხუთპროცენტიანი ბარიერი გადალახოს, რაც ძალიან გაუჭირდებათ, თუმცა ვნახოთ. ეს არის სალომე ზურაბიშვილის საქმე.

ისინი ეცდებიან, რომ ახალი პარტიით გადალახონ ხუთპროცენტიანი ბარიერი, თუმცა ძალიან გაუჭირდებათ გამომდინარე იქიდან, რომ თავისთავად სალომე ზურაბიშვილი არ არის მაინცდამაინც ქარიზმატული ფიგურა“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

8 თებერვალი (26 იანვარი)

დავით აღმაშენებლის დღე

დავით აღმაშენებელი, მხატვარი გიორგი გეგეჭკორი.

ცხრანახევარ საუკუნეს გადასცილდა მსოფლიო მასშტაბით სახელგანთქმული, უდიდესი ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, „მესიის მახვილად“ აღიარებული საქართველოს დიდი მეფეთ-მეფის, წმიდა დავით IV აღმაშენებლის (1073-1125 წწ.) ასაკი.

დავით აღმაშენებლის ეპოქა (XI საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მოკიდებული, XII საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით) არის პერიოდი, როცა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება დასრულდა, ქვეყანა გამთლიანდა და უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ეს ჭეშმარიტად „ოქროს ხანაა“. საქართველოს სახელმწიფო გაფართოვდა — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე. დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული საეკლესიო, სამხედრო, სასამართლო და სხვა ღონისძიებების (რეფორმების) შედეგად საქართველო დაწინაურდა და ახალი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

დავით აღმაშენებლის ტიტულატურა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“ რეალურად ასახავს საქართველოს იმდროინდელ გეოპოლიტიკურ ვითარებას. დიდმა გარდაქმნებმა ააღორძინა ქვეყანა. მეტად მნიშვნელოვანი იყო მაღალი განათლების მქონე მეფის მიერ გელათის აკადემიის (უნივერსიტეტის) დაფუძნება (1106 წ.), აკადემიისა, რომელიც „ახალ იერუსალიმად და სხვა ათინად“ (რწმენისა და განათლების) ცენტრად მოევლინა ქვეყანას.

დავით აღმაშენებლის საგარეო ორიენტაცია გამოკვეთილად ევროპული იყო. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი დამოკიდებულება ევროპასთან, განსაკუთრებული სიახლოვე ჯვაროსნულ სამეფოებთან. ქართველი მეფე ჭეშმარიტად აფასებდა ევროპის ქვეყნებში არსებულ ვითარებას და რეალურად ითვალისწინებდა მას.

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა დავით აღმაშენებელმა ქვეყნის ცენტრალიზაციისა და გაძლიერებისათვის. 1110 წელს აიღო და შემოიერთა სამშვილდე, 1115 წელს — რუსთავი, 1117 წელს — გიში, 1118 წელს — ლორე. 1118-1119 წლებში ჩამოასახლა ყივჩაყები და ლაშქარი გაზარდა და გააძლიერა; 1121 წლის 12 აგვისტოს გადაიხადა დიდგორის ბრძოლა და დაამარცხა მუსლიმთა ძლიერი კოალიციური ლაშქარი („ძლევაჲ საკვირველი“), 1122 წელს სამეფოს შემოუერთა ძველი დედაქალაქი თბილისი „ოთხას წელს ქონებული სპარსთა და დაუმკვიდრა შვილთა თჳისთა საჭურჭლედ და სახელად თჳისად საუკუნედ“.

მეფის აქტიური მცდელობით სამხრეთ კავკასიის მიწები, საერთაშორისო სავაჭრო გზები და ქალაქები საქართველოს საზღვრებში მოექცა. დავითის რელიგიური პოლიტიკა რჯულთშემწყნარებლური (ტოლერანტული) იყო, რაც იმ პერიოდისათვის გამორჩეულ, შეიძლება უჩვეულო, მოვლენად ითვლებოდა. ქართველმა მეფემ გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გონიერმა მოქმედებამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველივე ოხერქმნილი“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წმიდა მეფის კალამს ეკუთვნის უაღრესად მაღალი დონის ორიგინალური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“, რომელიც შუა საუკუნეების კულტურული, ესთეტიკური იდეოლოგიური მრწამსის, ამასთან ქრისტიანული საკაცობრიო სევდის გამომხატველი ძეგლია.

დიდ საქმეთა შემოქმედი ქართველი მეფე თანამედროვეებმა და შთამომავლობამ წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ ღირსსახსოვარი თარიღი 26 იანვარი (8 თებერვალი) დაწესდა.

ვულოცავ ქართველ საზოგადოებას დიდი ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, „მესიის მახვილის“, მეფეთ-მეფე დავით IV აღმაშენებლის დღეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ თარიღს ქართველი საზოგადოება, ჩვენი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, ხელისუფლება ღირსეულად აღნიშნავენ.



როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

◎ ჩვენი პუბლიკაცია

რეპრესიებს გადარჩენილი „დონ კიხოტი“

უნივერსიტეტი – 106



გრიგოლ წერეთელი

სახელოვანი ქართველი მეცნიერი, პაპიროლოგი, ელინისტი, კლასიკური ფილოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი გრიგოლ წერეთელი 1923-1931 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა. მისი დირექტორობის პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ბიბლიოთეკის ფონდი, მოწესრიგდა და სისტემატიზაცია ჩაუტარდა ათობით ათას საბიბლიოთეკო ერთეულს. ამ საქმეში გრიგოლ წერეთელს განსაკუთრებით ეხმარებოდა მეუღლე და ცხოვრების ერთგული მეგობარი სოფიო მაქსიმოვა.

გთავაზობთ თბილისის უნივერსიტეტის არქივში (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 471, ანაწ.1, საქმე 121) დაცულ ერთ დოკუმენტს, რომელიც კიდევ ერთხელ გაგვახსენებს გასული საუკუნის დასაწყისში მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის მიმართ განხორციელებულ საბჭოურ უგუნურ პოლიტიკას, საბჭოთა ბიუროკრატიის გაუნათლებლობას და თავად გრიგოლ წერეთლისა და ივანე ჯავახიშვილის ბრძოლას ამ ბოროტების წინააღმდეგ, რომელსაც ხან ჭკვიანი, ფლიდი და ხანაც უბადრუკი, წერა-კითხვის მცირედმცოდნე მტრის სახე ჰქონდა. ერთი შეხედვით, თითქოსდა პატარა სატირული ინციდენტის უკან იმ ეპოქის ტრაგიზმი იკითხება, როდესაც მეცნიერებისა და კულტურის სახელოვან წარმომადგენლებს გაუგონარ, დღევანდელი გადასახედიდან, ძნელად დასაჯერებელ უგუნურებასთან უხდებოდათ ბრძოლა, რათა გადაერჩინათ ის მარადიული ფასეულობები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია ჰუმანისტურ კაცობრიობას და რომლებიც საფუძვლად ედო ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს. სამწუხაროდ, ეს ბრძოლა კეთილისა ბოროტის წინაშე წინა საუკუნის 30-იან წლებში მარცხით დამთავრდა, ვერ შეძლეს საბჭოთა რეჟიმთან დიდხანს გამკლავება ვერც ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც 1926 წელს ჩამოაშორეს მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის მართვა-გამგეობას, და ვერც გრიგოლ წერეთელმა, რომლის სიცოცხლეც საბჭოთა რეპრესიებმა შეიწირა.

საბუთი, რომლის პუბლიკაციასაც გთავაზობთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, პროფესორ გრიგოლ წერეთლის მოხსენებითი ბარათია, რომელიც მას 1923 წლის 14 მარტს უნივერსიტეტის გამგეობისთვის გაუგზავნია. დოკუმენტი მანქანაზე დაბეჭდილი ორი ფურცელია, რომელსაც მელნით ხელს გრიგოლ წერეთელი აწერს.

უნივერსიტეტის გამგეობას

პატივი მაქვს მოვახსენო გამგეობას, რომ მ. წ. 7 მარტს ბიბლიოთეკაში ასეთი ამმავი მოხდა.

აღნიშნულ დღეს ბიბლიოთეკაში შემოვიდა საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩეკას“) პოლიტიკურ კონტროლის განყოფილების წარმომადგენელი, ვინმე ზაფაროვი და წარმოადგინა დასახელებულ დაწესებულებისაგან საგანგებო საბუთი. ამ საბუთით იგი, ზაფაროვი აღჭურვილი იყო უფლებით, რომელიც მას ნებას აძლევდა გამოერკვია ყველა სახელმწიფო ბიბლიოთეკებში ს. ს. მთავრობის მიერ აკრძალულ წიგნების რაოდენობა, ასეთი წიგნები გაეტანა და გადაეცა საგანგებო კომისიისათვის. მან ეს სიტყვიერადაც განუმეორა ბიბლიოთეკას, შემდეგ წარმოადგინა აგრეთვე მთავრობის მიერ აკრძალულ ქართულ, რუსულ, გერმანულ და სხვა ევროპის ენებზე გამოსულ წიგნების სია (მანქანაზე დაბეჭდილი რუსული ასოებით) და წინადადება მოგვცა, რომ მასთან ერთად შევდგომილიყავით ბიბლიოთეკის კატალოგთან სიის შედარებას და წიგნების გადაწყობას. სიაში აღნიშნული იყო, სხვათა შორის:

1. – სერვანტესის „დონ–კიხოტი“.

2. – ბოკაჩიოს ,,დეკამერონი“.

3. – Гачекъ Юліусъ, проф, „Общее государственное право“ (Русск. Изд . Samml. Gösch. №4).

4. – Тугань – Барановскій, проф. "Соціальныя основы коопераціи. М. 1916.

5. – Реинь – проф. Педагогика და სხვანი.

იხ. 4 გვ.

რეპრესიებს გადარჩენილი „დონ კიხოტი“





(მესამე გვერდიდან) აღნიშნულ დღეს მე და ჩემ თანამშრომლებმა გ-ნ ზაფაროვთან ერთად კიდეც დავიწყეთ ჯერ აკრძალულ რუსულ წიგნების მოძებნა, რომ ასეთი კითხვა დაიბადა. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ზოგიერთი ისეთი წიგნი, რომელიც ძველი გამოცემისა იყო, ხოლო წარმოდგენილ სიაში ნაჩვენები იყო ასეთი წიგნის ახალი გამოცემა. გ-ნ ზაფაროვმა კი არ იცოდა გასადევნი იყო ასეთი წიგნი თუ არა. ამიტომ ჩვენთან შეთანხმების შემდეგ, ის წავიდა ამ საკითხის გამოსარკვევად და სათანადო განმარტების მისაღებად. მეორე დღეს, ე. ი. 8 მარტს, მან მოიტანა უარყოფითი პასუხი, ე. ი. რომ სიაში ყველა აღნიშნული წიგნი, გამოცემის წლისა და ადგილის–და მიუხედავათ, უნდა ყოფილიყო ბიბლიოთეკიდან განდევნილი.

მაგრამ სანამ გ-ნი ზაფაროვი ამ პასუხით მოვიდა, ბიბლიოთეკამ უკვე საწინააღმდეგო განკარგულება მიიღო განათლების კომისარიატისაგან ტელეფონით.

წინა დღით გ-ნ უნივერსიტეტის რექტორმა მიჰმართა თხოვნით განათლების კომისარს, რომ მას მიეღო ზომები, რათა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე, როგორც სპეციალურ – სამეცნიერო ბიბლიოთეკაზე, რომელიც კერძო პირებისათვის დახურულია, საგანგებო კომისიის აღნიშნული აკრძალვა არ გავრცელებულიყო. კომისარმა დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და 8 მარტს, დილით ტელეფონით წინადადება მოგვცა აკრძალულ წიგნების გამორკვევა შეგვეწყვიტა, ხოლო საგანგებო კომისიის წარმომადგენლისათვის გადაგვეცა, რომ კომისარიატის მიერ სათანადო ქაღალდი საჩქაროდ იწერება და გვთხოვა მისთვის, რომ მას მოეცადნა, სანამ ეს ქაღალდი მიღებული იქნებოდა.

გ-ნი ზაფაროვი ამით დაკმაყოფილდა. მან სთქვა, რომ გადასცემს საგ. კომის. პოლიტ. კონტროლს განათლების კომისარიატის განკარგულებას და შემდეგ წავიდა.

მის წასვლის უმალ ბიბლიოთეკას მოუვიდა უნივერსიტეტის რექტორის სახელზე მიმართული, განათლების კომისარის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი (№379/3789, მარტის 8 თარიღით) ასეთი შინაარსისა:

„წინადადებას გაძლევთ უნივერსიტეტის შენობიდან წიგნები და სხვა რამ ჩემი ნებადაურთველად არავის გაატანოთ, თუ ვინმემ მოგმართათ ასეთი მოთხოვნით, გთხოვთ ასეთები გამოგზავნოთ ჩემთან“.

ბიბლიოთეკის დირექტორი,
პროფესორი წერეთელი.

ობიქტურობა მოითხოვს, ისიც აღინიშნოს, რომ განათლების კომისრის გონივრული (შეიძლება სარისკოც) გადაწყვეტილება რომ არა, ვერც სერვანტესის „დონ კიხოტი“ და ვერც ბოკაჩიოს „დეკამერონი“ განადგურებას ვერ გადაურჩებოდა.

მეოცე საუკუნის 20–30–იანი წლების საქართველოს ისტორიაში უთუოდ საინტერესო ფიგურა იყო საბჭოთა სახელმწიფო მაღალჩინოსანი და დიპლომატი დავით კანდელაკი, რომელსაც 1922–1929 წლებში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის თანამდებობა ეკავა. დავით კანდელაკს უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონია მიღებული. 17 წლის ასაკიდან დაუწყია პოლიტიკური საქმიანობა, ჯერ ესერების, ხოლო შემდეგ კომუნისტური პარტიის წევრი გამხდარა. იგი, განათლების კომისრის თანამდებობაზე ყოფნის პარალელურად, 1928 წელს ახლად გახსნილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ რექტორად დაუნიშნავთ.

დავით კანდელაკი სტალინის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. მათ ნაცნობობა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში დაწყებულა. მას, როგორც ჭკვიან, ადამიანებისადმი კეთილგანწყობილ პიროვნებად ახასიათებდნენ. დავით კანდელაკი 1930 წელს დანიშნეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ, 1930-1934 წლებში – საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად შვედეთში, 1935-1937 წლებში კი – გერმანიაში, სადაც მის საქმიანობას ისტორიკოსები „კანდელაკის მისიად“ მოიხსენიებენ. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები ბოლომდე ვერ თანხმდებიან ამ მისიის რეალობაში. ფაქტია, დავით კანდელაკი მართლაც გააგზავნა სტალინმა გერმანიაში, სადაც იგი გერმანიის უმაღლეს ეშელონებთან დაახლოებას ცდილობდა და მიზნად ჰქონდა, გაერკვია, ხომ არ იქნებოდა მისაღები გერმანიის მხრიდან 1922 წელს ბოლშევიკურ რუსეთსა და ვაიმარის რესპუბლიკას შორის რაპალოს სამშვიდობო ხელშეკრულების პრინციპებისა და კეთილგანწყობის დაცვა; ხომ არ იყო მოსალოდნელი ჰიტლერის ჩანაცვლება გერინგით და რაც მთავარია, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი გერმანიის დაინტერესება სსრკ-ს მიერ სამხედრო–მომგებიანი წინადადებებით. როგორ შეასრულა დავით კანდელაკმა მისია, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ფაქტია, რომ გერმანიაში ორწლიანი დიპლომატიურ–სადაზვერვო საქმიანობის შემდეგ, იგი მოსკოვში დააბრუნეს, 1937 წელს, ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, დააპატიმრეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ დახვრიტეს.

დავით კანდელაკის მიერ გადარჩენილი „დონ კიხოტი“ კი დღესაც მშვიდად დევს თსუ ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა საცავში, მრავალი მკითხველის ხელში გამოვლილი, რესტავრირებული, ქარის წისქვილებთან კი არა „ჩეკასთან“ მებრძოლი.

ეს გახლავთ სერვანტესის „ლამანჩელი აზნაური დონ-კიხოტის“ 1906 წლის გამოცემა, რუსულიდან თარგმნილი გამოჩენილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ავალიშვილის მიერ, ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან შეჯერებული ალ. სარაჯიშვილის დახმარებით. – „ქართული წიგნის“ მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 1923 წლამდე (როდესაც ზემოთ აღწერილი ინციდენტი მოხდა) „დონ კიხოტის“ ქართულად თარგმნილი მხოლოდ ეს გამოცემა ინახებოდა (იხ. „ქართული წიგნი“, ტ. 1, 1941 წ. გვ. 302).

წინასიტყვაობაში მთარგმნელი დანანებით ამბობს, რომ წიგნის გამოცემა ვერ მოხერხდა ერთი წლის წინ, როდესაც „დონ კიხოტის“ ესპანეთში გამოცემის 300 წლისთავი აღინიშნა, თუმცა, ამის მიუხედავად, ნიკო ავალიშვილს იმედი აქვს, რომ ერთი წლის დაგვიანებით გამოცემული თარგმანი – „ეს ჩვენთვის უმაგალითო მოვლენა ქართველი ერის თვითცნობიერების გზაზედ დადგომისა და მისი მწიგნობრობის ბედის მოტრიალების დასაწყისად შეიქმნას“.

ისე გაქრნენ ზაფაროვებიცა და „ჩეკას“ წარმომადგენლებიც ისტორიის სცენიდან, რომ მათ ვერც ქართველი ერის მწიგნობრობისა და ვერც მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ფასი ვერ გაიგეს, თუმცა ვერც სიკეთისთვის მებრძოლი მარადიული რაინდის დამარცხება შეძლეს.

ზურაბ გაიპარაშვილი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ხელმძღვანელი,
ისტორიის დოქტორი.

ახალი სამეცნიერო, სასწავლო და სპორტული სივრცე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისთვის და პროფესიული განათლების ცენტრისთვის სასწავლო დანიშნულების სივრცის შესაქმნელად მეათე (მაღლივი) კორპუსის მიმდებარედ ახალი კორპუსის აშენება იგეგმება, – ინფორმაციას ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავრცელებს.

თსუ-ის რექტორის მოადგილის კახაბერ ჭეიშვილის ინფორმაციით, ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებისთვის შეიქმნება კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი პირობები; ასევე, ახალი პროფესიული პროგრამების დასამატებლად აღნიშნულ შენობაში სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა გაიმართება. ასევე, თსუ-ის რექტორის ჯაბა სამუშიას თაოსნობით, აღნიშნულ შენობაში მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცე, რომელიც თსუ-ის სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს საშუალებას მისცემს, იზრუნონ ჯანსაღი ცხოვრების წესზე, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ აქტივობებში და ისარგებლონ კომპლექსის მომსახურების შეღავათიანი ტარიფებით; განახლდება უკვე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, აშენდება დამატებითი სივრცეები სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის, მათ შორის, გაიხსნება 25-მეტრიანი საცურაო აუზი.

შენობის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით გაიმართა კონკურსი, რომელშიც კომპანია „თბილქალაქპროექტმა“ გაიმარჯვა. სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.



წმინდა კეთილმოსურნე მეფე დავით აღმაშენებელი

8 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას წმიდისა კეთილმსახურისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა, აღმაშენებლად წოდებულისა.

...დავით მეფე — ღვთის მოშიში, განსწავლული, ბრძნადმეტყველი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა, სომეხთა.

...წმინდა დავით აღმაშენებელმა მეფობისას თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას, მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

კეთილმსახურმა მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება დაასრულა დიდგორთან ომის მოგების, თბილისის აღებისა და დმანისის შემოერთების შემდეგ.

თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა გელათის მონასტრის მშენებლობით დააგვირგვინა. მან დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი მონასტერს შესწირა. საზღვარგარეთ ბევრ სავანეს თავისი მზრუნველობის ხელი დაატყო. წყალობითა და სიუხვით სავსე მეფე ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს.

მწიგნობარი მეფე დავითი თავისუფალ დროს საღმრთო წერილისა და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა.

დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ მთელი თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

გიული ლიპარტია

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი

110 წელი შესრულდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისათვის განკუთვნილი მანქანათა სისტემების ფუძემდებლის, გენერალური კონსტრუქტორის, ლენინური პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შალვა კერესელიძის დაბადებიდან.

შალვა იასონის ძე კერესელიძე დაიბადა 1913 წლის 26 დეკემბერს ონის რაიონის სოფ. ფარვანისში, გლეხის ოჯახში. მან რაიონშივე მიიღო საშუალო განათლება, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოფლის მეურნეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საქმეს მიუძღვნა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ანასეული) ასპირანტი ხდება. იმ პერიოდში საქართველოში მეცნიერ-ხელმძღვანელთა ნაკლებობის გამო (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციაში) ბატონი შალვა ასპირანტურაში სწავლას ქ. მოსკოვში აგრძელებს. მალე ის მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს, საიდანაც დაჭრილი ბრუნდება 1943 წელს და მუშაობას იწყებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის ასისტენტად. 1946 წელს, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, ბატონი შალვა აირჩიეს აღნიშნული კათედრის დოცენტად და დანიშნეს მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. სწორედ აქედან დაიწყო დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა.

1949 წელს თბილისში გაიხსნა კავშირის მასშტაბით ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მეცნიერი, დოცენტი შალვა კერესელიძე; მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდა კურსდამთავრებული სპეციალისტები და პირადი მაგალითით მათ ჩაუნერგა შრომისადმი, სამშობლოსადმი და თავისი საქმისადმი დიდი სიყვარული.

1954 წელს ცნობილი მოვლენების გამო (შეიცვალა მაშინდელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა) ბატონი შალვა ჩამოშორდა მის მიერ ჩამოყალიბებულ საქმეს – სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს და სამუშაოდ გადავიდა 1952 წელს დაარსებულ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (შემდგომში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოხუმში), ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგედ, ხოლო შემდგომ – პრორექტორად სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში. კვლევის ობიექტებთან მიახლოებამ დააჩქარა სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური სამუშაოები, რასაც 1962 წელს მოჰყვა საქვეყნოდ ცნობილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ წარმოებაში დაყენებისა და სერიული გამოშვების უფლება.

ბატონი შალვას ინიციატივით, ქ. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში, საავტომობილო ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტებთან ერთად შეიქმნა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი“, რაც საფუძვლად დაედო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი სატრაქტორო ქარხნის დაარსებას. მას დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე 1958 წელს ქუთაისიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქ. სოხუმში გადატანისა და დამკვიდრების საქმეში.

1961 წელს ბატონი შალვა წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას და ღებულობს პროფესორის წოდებას. ამავე წელს იგი ხდება საქართველოს დამსახურებული გამომგონებელიც.

1962 წლიდან პროფესორი შალვა კერესელიძე გადაჰყავთ ქ. თბილისში, კ. ამირეჯიბის სახელობის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ და აქვე არსებული ჩაის საპრობლემო ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

დიდია მისი წვლილი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის – „საქსოფლმანქანის“ დაარსებასა და მშენებლობაში, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჩაის მოვლა-მოყვანისა და კრეფის მანქანათა სრული კომპლექსის სერიულ გამოშვებას.

1967 წელს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის პროფ. შ. კერესელიძეს და კონსტრუქტორთა გარკვეულ ჯგუფს (თ. ჭეიშვილი, დ. ნასარიძე, გ. ოგანეზოვი, გ. ედიბერიძე, ს. დარჯანია) მიენიჭათ სსრკ-ის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო – ლენინური პრემია. მალე ბატონი შალვა სოციალისტური შრომის გმირი გახდა. (1969 წ.).

1971 წელს მისი თაოსნობით წარმატებით დაგვირგვინდა ჩაის მანქანათა საპრობლემო ლაბორატორიისა და სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე, მსოფლიო პრაქტიკაში პირველი სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რისთვისაც, ძველ კადრებთან ერთად, ბატონმა შალვამ თავი მოუყარა სხვადასხვა დარგის უნარიან და ნიჭიერ ახალგაზრდობას: მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ტექნოლოგებს, ეკონომისტებს და სხვ. ინსტიტუტის 25 წამყვან განყოფილებაში მუშაობდა 550 თანამშრომელი.

გარდა ჩაისა, კოლექტივი წარმატებით მუშაობდა ციტრუსების, თამბაქოს, ვაზის, ტუნგოს, დაფნისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების, მანქანათა სისტემების შექმნასა და დანერგვაზე წარმოებაში.

1972 წელს პროფ. შალვა კერესელიძე დამტკიცდა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების გენერალურ კონსტრუქტორად, რის შედეგადაც რესპუბლიკის კომპეტენციაში შევიდა შესაბამისი პროფილის მანქანებზე საკავშირო და საერთაშორისო მონიტორინგის მონოპოლია.

1973 წელს მისი უშუალო ინიციატივით ლაითურის ჩაის მეურნეობაში ჩატარდა სამი საკავშირო უწყების – სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლტექნიკისა და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის უწყებების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების გამსვლელი გაფართოებული სესია, რომელმაც სხვა აქტუალური პრობლემების განხილვასთან ერთად მიიღო ჩაის ფოთლის საკრეფი მცირეგაბარიტიანი მანქანა „ჩა-900“-ის წარმოებაზე დაყენების გადაწყვეტილება. ამით წერტილი დაესვა საკმაოდ ხანგრძლივ დაპირისპირებას ორ სხვადასხვა პრინციპზე მომუშავე ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოსა“ და „ჩა-900“-ის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ამრიგად, პროფ. შ. კერესელიძის მხარდაჭერით მანქანას „ჩა-900“ მიეცა შესაძლებლობა წარმოებაში დასანერგად.

1974 წელს, ქვეყნისა და დარგის საზიანოდ, პროფ. შ. კერესელიძე ჩამოაშორეს მის მიერ შექმნილ ინსტიტუტს, რაც მაშინდელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დიდი შეცდომა იყო.

მიუხედავად ასეთი დიდი და უსამართლო ტრავმისა, პროფ. შ. კერესელიძე სამუშაოდ გადადის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის გამგედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დიდი მონდომებით აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს.

1994 წელს პროფ. შ. კერესელიძე არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

საოცრად მრავალმხრივია პროფ. შ. კერესელიძის შემოქმედებითი არსენალი. მან წამოაყენა და ფართო საწარმოო მიმართულება მისცა ჩამოწერილი საავიაციო ძრავების მოტორესურსის გამოყენებას ციტრუსოვანთა პლანტაციების დისპერსიული დაწვიმებისათვის გვალვიან პერიოდში (რაც 30-40%-ით ზრდის მოსავლიანობას), ხოლო ზამთრობით მოკლევადიანი ყინვებისაგან დაცვის მიზნით, რაც ითვალისწინებს პლანტაციების თბილი წყლით შესხურებას დიდ ფართობებზე. ეს დანადგარი წარმატებით გამოიყენებოდა 70-იან წლებში გალის რაიონის კოხორის ციტრუსების მეურნეობაში.

პირველად საქართველოში პროფ. შ. კერესელიძის ხელმძღვანელობით ჩაის მეურნეობებში დაინერგა ჩაის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია, რომელიც უწყვეტი მანქანური ციკლია, სადაც ცალკეული ოპერაციების ნაკადურობისა და საერთოდ ამ რგოლის ოპტიმალური ფუნქციონირებით მიიღწევა ნედლეულისა და შესაბამისად, საბოლოო პროდუქციის მაღალი ხარისხი. სრულიად ახალი სიტყვა იყო ჩაის ფოთლის უტარროდ გადაზიდვა პლანტაციიდან ჩაის ფაბრიკამდე, რაც წარმატებით გამოიყენებოდა რესპუბლიკის ჩაის მეურნეობებში.

ფანტასტიკურია აკად. შ. კერესელიძის მიერ შემოთავაზებული, ისეთი ჩაის საკრეფი კომბაინის შექმნის იდეა, რომელიც გულისხმობს უშუალოდ პლანტაციაში ჩაის საკრეფი მანქანით მოკრეფილი დუყის დაუყოვნებელ გადამუშავებას, მასზე აგრეგატირებული დანადგარებზე მწვანე ბაიხის ჩაის მისაღებად. საკვლევ-სამეცნიერო სამუშაო მიზნად ისახავდა განსაზღვრულიყო ჩაის საკრეფი კომბაინის ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები, მაკომპლექტებელი კვანძების სამუშაო რეჟიმების რეგულირების დიაპაზონი, მანქანასთან მათი რაციონალური შეთანაწყობის სქემები გარემო პირობების გათვალისწინებით. დამუშავდა ჩაის საკრეფი კომბაინის რამდენიმე ნიმუში, მაგრამ მისი წარმოებაში გამოცდა არ მოხერხდა გასული საუკუნის 90-იან წლებსა და მის შემდგომ პერიოდში ცნობილი მოვლენების გამო.

აღსანიშნავია, რომ აკად. შ. კერესელიძის საეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო, ორგანიზატორული შრომის შედეგად სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციის დარგში ქართველ მეცნიერებს და კონსტრუქტორებს ეჭირათ ლიდერის როლი. ამ როლის შესრულება მეტად საპატიო და რთული იყო, რადგან ამ დარგს არ გაჩნდა მსოფლიო მეცნიერების გამოცდილება.

აკად. შალვა კერესელიძე მრავალი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი იყო. იგი ავტორია 250-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის მონოგრაფიების, დამხმარე-მეთოდური სახელმძღვანელოებისა სამთო-მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციის საკითხებზე. ბატონი შალვა ავტორია 100-მდე გამოგონებისა და საავტორო მოწმობისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინერგა წარმოებაში და რომელთაც დიდი მოგება მოუტანეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

ბატონ შალვას ტრადიციული, წმინდა, შეუბღალავი ქართული ოჯახი ჰქონდა, სადაც სიყვარულის, ერთობის, მეგობრობის, მოყვასის უზადო პატივისცემისა და თანადგომის ატმოსფერო იყო შექმნილი. ბედმა ღირსეული თანამეცხედრე არგუნა ბატონ შალვას ქალბატონი მერის სახით, რომელიც მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების განსახიერება იყო. მათ ოჯახში გაიზარდნენ შვილები – თამაზი, ნანა და შვილიშვილი მაგდა, რომელიც მათ შვილად ჰყავდათ მიღებული. ბატონმა შალვამ უსაზღვროდ დიდი ტკივილი და ტრავმა მიიღო მეუღლისა და შვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. ამ ორი უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვამ მას თანდათან შეურყია ჯანმრთელობა, რაც სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში აშკარად გამოიკვეთა. მძიმე სენით დაავადებული ბატონი შალვა 1997 წელს გარდაიცვალა.

დიდია აკად. შალვა კერესელიძის დამსახურება ქვეყნის წინაშე, მაგრამ მისი პირდაპირობა, პრინციპულობა არ მოსწონდა ბევრს, მათ შორის რესპუბლიკის იმდროინდელ ხელმძღვანელობას. მისი ცხოვრების ბოლო 20 წელიწადი სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს, რასაც ეს პიროვნება ნამდვილად არ იმსახურებდა.

ძნელია ვისაუბროთ დიდ ადამიანზე მაშინ, როდესაც ის ჩვენ გვერდით არ არის და რომელთანაც მრავალი ათეული წელი გვაკავშირებდა. ცხოვრების ბოლო პერიოდში, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი შესაშური ენერგიით განაგრძობდა მეცნიერულ მოღვაწეობას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბატონი შალვა იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ეღვაწა ნამდვილ მეცნიერს. ასეთი ადამიანის ხსოვნა კი დიდხანს რჩება მისი ახლობლების, კოლეგებისა და მოწაფეების გულებში.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ აკად. შ. კერესელიძე, როგორც განგებისაგან მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ცნობილი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი, საქმეში შეუპოვარი, ღრმად მოაზროვნე, პატიოსანი ერის შვილი და მრავალი სხვა დადებითი თვისების მქონე ქართველი კაცი, ლეგენდად დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

აკად. შალვა კერესელიძის ბიოგრაფიას შელამაზება არ სჭირდება. მთელმა ქართველმა ხალხმა იცის, რომ იგი არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, მხურვალე პატრიოტი, სათნო და კეთილშობილი ადამიანი იყო.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით:

ნაპოლეონ ქარქაშაძე, რევაზ მახარობლიძე, ჯემალ კაციტაძე, როლანდ კოპალიანი, თამაზ ცანავა, შალვა კირთაძე, რანი ჭაბუკიანი, ნუგზარ ებანოიძე, ქეთევან კინწურაშვილი, მარიეტა თაბაგარი, გურამ ბენდელიანი, სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, მამუკა წიქორიძე.

უცხოეთის სპეცსამსახურები ეფექტურად იყენებენ ჩვენს სასარგებლო იდიოტებს!

კაცობრიობის ისტორიას არაერთი საბედისწერო შემთხვევა ახსოვს, როცა ვიგინდარა პროვოკატორებმა უმართავ პროცესებს დაუდეს სათავე და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი „შავი ხელის“ მეთაურმა დრაგუტინ დიმიტრევიჩმა 1914 წლის ივნისში, სერბეთის ქალაქ სარაევოში საგანგებო დავალებით გაგზავნა ტერორისტი გავრილო პრინციპი, რომელმაც ვერაგულად მოკლა ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი საცოლესთან ერთად, რამაც პირველი მსოფლიო ომის პროვოცირება გამოიწვია.

მართალია, პერპეტუალურად, საქმე მორიგ მსოფლიო ომამდე არ მისულა, მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირებას რომ რამდენჯერმე გადაურჩა ჩვენი გეოკრული სამშობლო, ამის უარყოფა შეუძლებელია.

ყველა ქვეყანაში ციხე შიგნიდან ტყდება, მაგრამ მხოლოდ ქართველებს გვაქვს ასეთი მრავლისმეტყველი გამოთქმაო, ამგობდა ჯანსუღ ჩარკვიანი. რაც უნდა სამწუხარო იყოს ამის აღიარება, ციხის შიგნიდან გატეხის მცდელობას, სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების გარდა, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაშიც აქვს ადგილი, რაც ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც თვალნათლივ დაადასტურა. კერძოდ, 2024 წლის 7 იანვარს, მაცხოვრის შობის დღესასწაულზე, სოციალურ ქსელში გავრცელდა დეკანოზ ილია ჭიღლაძის ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ სამების საკათედრო ტაძარში წმინდა მატრონა მოსკოველის ხატზე სტალინი იყო გამოსახული.

არქიმანდრიტ იოვანე მჭედლიშვილის განმარტებით, რამდენიმე თვეა, რაც წმინდა მატრონა მოსკოველის ხატი სამების საკათედრო ტაძარში ყოფილა დაბრძანებული და ამიტომ გაკვირვებას იწვევს დეკანოზის საქციელი, რომელმაც მაინცდამაინც, შობის დღესასწაულზე მოიწადინა ხსენებული ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება.

ეკლესიური სწავლების მიხედვით, ეშმაკს აფრთხობს საკმეველის სურნელი, რასაც ვერ ვიტყვით მის მიწიერ მოციქულებზე, რომლებიც, ავანტიურისტ ნატა ფერაძის მსგავსად, დროდადრო სტუმრობენ ეკლესია-მონასტრებს, პროვოკაციის მოწყობის მიზნით. როგორც წესი, პარტიზანის მოქმედების ტაქტიკა მარტივია – დივერსიული აქტის განხორციელების შემდეგ უნდა მიიმალოს და თავი არ გასცეს. ნოვატორული იდეებით შთაგონებულმა და „პარტიზანი მებაღის“ სახელით ცნობილმა ნატა ფერაძემ კი სრულიად საპირისპირო გზა აირჩია – თვითონვე გაავრცელა სოციალურ ქსელში იმ ვანდალიზმის ამსახველი ვიდეომასალა, რომელმაც სამართლიანად აღაშფოთა მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი.

მართალია, საზოგადოების მზარდი პროტესტით დამფრთხალი დივერსანტი ფერაძე დროებით კონსპირაციულ მინაში დაიმალა და იმ სამართალდამცავი ორგანოებისგან, რომელსაც ბილწსიტყვაობითა და უხამსი ჟესტიკულაციებით მუდმივად შეურაცხყოფს, უსაფრთხოების გარანტიები მოითხოვა, მაგრამ როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულა, უმალ შეტევაზე გადმოვიდა.

შესაძლოა, ვინმეს ყური მოჭრას ასეთმა მკვეთრმა შეფასებამ, მაგრამ საპატრიარქოს შემრიგებლური განმარტების შემდეგ, სტალინის შეხვედრა წმინდა მატრონასთან არ არის შეტანილი მისი ცხოვრების კანონიკურ ტექსტში და არ არის აღიარებული რუსეთის ეკლესიის მიერო, კიდევ უფრო კაპიტულანტური განცხადება გააკეთა იგივე იოვანე მჭედლიშვილმა: წმინდა მატრონას ხატი გადაბრძანებულია სამების ტაძრის დაცულ სივრცეში, სადაც კანონიკური წესების დაცვით მოხდება არსებული ხარვეზის შესწორებაო!

თქვე დალოცვილებო, კითხვა სირცხვილი არ იყოს, წმინდა მატრონა მოსკოველის ხატი მოდილიანის უიღბლო ეპიგონის და ფურთხების პროფესორად შერაცხილი გია ბუღაძის ნახატი ხომ არ არის, შესწორება-გადაკეთების და კონიუნქტურული მოსაზრებით რევიზიას რომ დაექვემდებაროს?!

დაუსჯელობა არის დანაშაულის ყველაზე დიდი წახალისებაო, ამგობდა ციცერონი, რომელსაც წინ ნატა ფერაძესავით ალქაჯი პატილინას მაგალითი ედო. ალბათ, ამიტომაც იყო, როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულა, „ხექალამ“ ყელი გედითვი მოიღერა და სამეფო კოგრასავით ამოისისინა: არაფერს ვნანობ, ისევ იმავეს გავაკეთებდიო!

ნატა ფერაძის სამიზნე წმინდა მატრონას ხატი და, მით უმეტეს, სტალინი არ ყოფილა, ეს თვითონვე აღიარა რუსულენოვანი ინტერნეტ გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში: როცა სახლის ყიდვას ვაპირებდი, ისეთი ადგილი მინდოდა შემერჩია, საიდანაც სამება არ გამოჩნდებოდა, რადგან ეს ტაძარი შეურაცხყოფს ჩემს გრძნობებსო! სავარაუდოდ, ამიტომაც წაბილწა მატრონას ხატი სამ ადგილას, უთუოდ წმინდა სამებას გულისხმობდა თავის ავადმყოფურ წარმოსახვაში.

ერთი პროფესიული არამზადა ზოგჯერ მთელ მსროლელთა ბრიგადას უდრისო, ნათქვამი აქვს ალექსეი ტოლსტოის, რაც ავანტიურისტ ნატა ფერაძეზეა ზედგამოჭრილი. მიუხედავად ამისა, არამზადა ფერაძის გასამხნევებლად მაინც მობილიზდნენ მსგავსი ავაზაკები. ლაშა ბუღაძეს, დავით ბერძენიშვილს, გიორგი მშვენიერაძეს და ბექა მინდიაშვილს თავი რომ დავანებოთ, ნინია კაკაბაძეს და ეკა კვესიტაძეს გვერდს როგორ ავუვლით, რომელთაგან პირველმა ხოტბა შეასხა ხატმეგრძოლ დაქალს („აფერუმ შენს ქალობას და ოჯახიშვილობას“), მეორემ კი ჩამჭრელი კითხვა დაუსვა საზოგადოებას: „ყველაფერი ყველაფერი და მატრონა ვინ არის?“

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, განათლების „ნოვატორი“ მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას მიერ დარწმუნებული ვარ, ლაშა შარუხიას ადმინისტრაციული ჯარიმის საფუძველზე თუ გაანთავისუფლებენ, გულწრფელად შეინანებს და მსგავს ქმედებას არასოდეს ჩაიდენს, ხოლო თავისუფლებაზე მყოფი ნატა ფერაძე, ხატმეგრძოლობასთან ერთად, კვლავაც იმ საქმის კეთებას გააგრძელებს ახალგაზრდული შემართებით, რითაც, პირდაპირ სატელევიზიო ეთერში მისივე აღიარებით, 2012 წლამდე იყო დაკავებული!

ქართულ იდენტობასა და მართლმადიდებლობასთან მებრძოლმა უცხოელმა ემისრებმა მშვენივრად იციან, რომ მინძური საქმე სუფთა ხელებით არ კეთდება და ამიტომ ელოლიავებიან ასეთი თავგამოდებით იმ ზნედაცემულ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერზე არიან წამსვლელი, მსუყე დაფინანსების სანაცვლოდ. კიდევ უფრო სამწუხაროა, ასეთი მრწამსის სუბიექტები ეკლესიის წიაღშიც რომ არიან ჩანერგილი და ე.წ. კანცელარიის ვირთხის ფუნქციას ასრულებენ. დეკანოზ ილია კეკელიას თქმით, იმ მღვდელმსახურთა ერთ-ერთ წარმომადგენელს, რომლებიც კოვიდპანდემიის პერიოდში ეკლესიების დაკეტვის პროპაგანდას ეწეოდნენ, კატეგორიულად მოუთხოვია, წმინდა მატრონას ხატი ტაძრიდან გამოიტანეთ და სახალხოდ დაწვითო!

არანაკლები მკრეხელობა ჩაიდინა ახალქალაქის, კახისა და კუმურდოს ეპისკოპოსმა მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა, როცა „ტვ ფორმულას“ ეთერში განაცხადა, ხატი უკანონოა და უნდა განადგურდესო!

ცნობისათვის, მეუფე ნიკოლოზი საკაშვილის მიერ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოებული ის მღვდელმთავარია, რომელიც აწ გარდაცვლილი მეუფე კალისტრატე მარგალიტაშვილის მსგავსად, მიხეილ საკაშვილს მეორე დავით აღმაშენებლად მოიხსენიებდა, მადლიერების ნიშნად. მოგვიანებით, იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სტუმრობდა მის კეთილისმყოფელ ექსპრეზიდენტს და გამადრული სახით გვაუწყებდა, მიშაზე ღვთიური მადლი გადმოვიდა, აღსარება თქვა, ეზიარა, ხანგრძლივი ლოცვები მოისმინა და შვიდგზის ზეთი იცხოო!



ე.წ. ცივი ომის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, ტიტულოვანმა მასონმა ალენ დალესმა, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი გახდებოდა, მასონთა საერთაშორისო საბჭოს მონდიალისტური ორგანიზაციის კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა: ჩვენ რაც გაგვაჩნია – მატერიალური სიმდიდრე და ბუნებრივი რესურსები – ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ ადამიანთა გამოსაყენებლად. ადამიანის ტვინი უცვლელი არ არის, ამიტომ ჩვენ შევარყევთ თაობებს, ყურადღებას გავამახვილებთ ახალგაზრდებზე, გავრყვნით მათ და გადავაქცევთ ჩვენი გავლენის აგენტებად, კოსმოპოლიტებად!

ათვალწუნებულ ზღაპარში კბილებდაკრეჭილი მგელი რომ ეკითხება შესაჭმელად გახაზირებულ ცხვრებს, კომბლე რა კაციაო? რაზეც ცხვრები ხმაშეწყობილად პასუხობენ, კომბლე ის კაცია, რომელიც კომბლებსა თლის და ჭერში აწყობს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში, საჭიროებისამებრ გამოიყენოსო!

მოვლენათა მსგავსი განვითარებისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუ ხელისუფლება კვლავაც გააგრძელებს ორმაგი სტანდარტებით მოქმედებას, პატრიოტულად განწყობილი საზოგადოების საზიანოდ, შესაძლოა, კომბლების გამოყენებამდეც კი მივიდეს საქმე.

ვფიქრობ, ფართო საზოგადოების აზრი გამოხატა საპატრიარქოს ყოფილმა საპარლამენტო მდივანმა, თეოლოგიის დოქტორმა გიორგი ანდრიაძემ, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში: „რაც ნატა ფერაძემ ჩაიდინა, საერთაშორისო სამართალში განმარტებულია, როგორც რელიგიური შეურაცხყოფა, რელიგიური საკულტო დაწესებულების შეურაცხყოფა და იმავდროულად – კერძო საკუთრების დაზიანება და პარადოქსია, რომ „წვრილმან ხულიგნობად“ შეაფასეს!“

როცა წვრილმან ხულიგნობაში მხილებულ დივერსანტს 5-დღიანი პატიმრობა აკმარეს, ხოლო ევროკავშირის დროშის დაწვის გამო გრალდებულ ლაშა შარუხიას 6-წლიანი სასჯელი ემუქრება, ამაზე მეტი პარადოქსი და ორმაგი სტანდარტი რა უნდა იყოს?!





მეუფე ნიკოლოზი საკაშვილის მიერ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოებული ის მღვდელმთავარია, რომელიც აწ გარდაცვლილი მეუფე კალისტრატე მარგალიტაშვილის მსგავსად, მიხეილ საკაშვილს მეორე დავით აღმაშენებლად მოიხსენიებდა, მადლიერების ნიშნად.

ბიერებდნენ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. მიუხედავად იმისა, რომ იდიოტი, სასარგებლო იქნება იგი თუ უსარგებლო, მაინც იდიოტია, მნიშვნელოვანი ზიანი შეუძლიათ მიაყენონ სახელმწიფოს ინტერესებს. ჩვეულებრივმა მოკვდავმა კი არა, თვით რომის პაპმა ვერ გაუძლო გლობალისტების ზეწოლას და ერთნაირსქესიანთა წყვილების დალოცვის კურთხევა მისცა კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურებს.

თუმცა რაღა კათოლიკურ ეკლესიაში არსებულ ლიბერალიზმზე ვწუხვართ, როცა აქვე, ჩვენ სიახლოვეს, მართლმადიდებელი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გაუგორა კოჭი სოდომისტებს და ერთნაირსქესიანთა წყვილების ჰარმონიული თანაცხოვრების დაკანონების ინიციატივით წარდგა ბერძენი საზოგადოების წინაშე!

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გარდა, არსებობს კოლექტიური პასუხისმგებლობაც, ამიტომ ტრადიციული ღირებულებების ერთგულ საზოგადოებას მეტი სიფრთხილე გვმართებს, მართლმადიდებლობაზე ჯვაროსნული შემოტევის პირობებში. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ არც დალესის დოქტრინის ანულირება მოუხდენია ვინმეს და ძაღლთაპირი სოროსიც შესაძლო წარმატებით ანხორციელებს ზბიგნევ ბჟეზინსკის ანტიქრისტიანულ იდეებს პრაქტიკაში.

ე.წ. ცივი ომის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, ტიტულოვანმა მასონმა ალენ დალესმა, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი გახდებოდა, მასონთა საერთაშორისო საბჭოს მონდიალისტური ორგანიზაციის კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა: ჩვენ რაც გაგვაჩნია – მატერიალური სიმდიდრე და ბუნებრივი რესურსები – ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ ადამიანთა გამოსაყეყეჩებლად. ადამიანის ტვინი უცვლელი არ არის, ამიტომ ჩვენ შევარყევთ თაობებს, ყურადღებას გავამახვილებთ ახალგაზრდებზე, გავრყვნით მათ და გადავაქცევთ ჩვენი გავლენის აგენტებად, კოსმოპოლიტებადო!

აი, პატივცემულო მკითხველო, საიდან იღებს სათავეს ნატა ფერაძისა და მისი მსგავსი ლიბერასტ-კოსმოპოლიტების გაუკუღმართებული აზროვნება, რომლის მეტასტაზებივით გავრცელებას ლობირებენ ანტიქრისტეს მიწიერი მოციქულები. მეტი დამაჯერებლობისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ იდიოტური გამომეტყველების მომწერლო სუბიექტი ზაზა ბურჭულაძე, რომელმაც „მძიმე კაცთან“ სატელევიზიო საუბარში განაცხადა: სასწრაფოდ უნდა მოვათავსოთ პატრიარქი ვოლიერში, როგორც მტაცებელი, მან არა მარტო ქართველთა გონება მოიტაცა, არამედ ლამის ფიზიკურადაც კი. ეს ადამიანები აღარ არიან ადამიანებიო!

უდიდესი საეკლესიო მოღვაწის, თეოლოგისა და რელიგიის ფილოსოფოსის, ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომში „სამართლიანი ომი“, აღწერილია რჩევები, თუ როგორ უნდა დაიცვას თავისი უფლებები მორწმუნე ქრისტიანმა, როცა ამ უფლებებს უხეშად ხელყოფენ დისკრიმინაციული მოსაზრებებით. რამდენადაც ქრისტიანული ეკლესია მებრძოლი ეკლესიაა, არა მარტო უნდა დაიცვას მრევლის ინტერესები, არამედ კიდევ უფრო გაიმყაროს პოზიციები, რათა ერთობლივი ძალებით გავუმკლავდეთ ანტიმართლმადიდებლურ და ანტისახელმწიფოებრივ იდეოლოგიურ დივერსიას.

ზვიად გამსახურდიას თქმისა არ იყოს, „რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი უფრო ადვილად, ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად“. ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი სიცოცხლეს უფრო ადვილად დათმობს, ვიდრე სარწმუნოებას, რადგან ჩვენ იმ ასიათასი წმინდანის პირდაპირი შთამომავლები ვართ, რომლებმაც სამოქალაქო გმირობის გრწყინვალე მაგალითი აჩვენა პაცოგრიობას.

წმინდა გიორგი მთაწმინდელის ავტორიტეტული აზრით, „ესე არს სარწმუნოება მართალი ნათესავისა ჩვენისა და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილი ვართ არცა მარცხლ, არცა მარჯულ და რაცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“.

მგელი არ მოშლის მგლობასაო, ამბობს ქართველი კაცი და ეს ხალხური სიბრძნე ცხოვრებისეული გამოცდილებით არის გამყარებული. მიუხედავად ამისა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ნატა ფერაძეზე გადმოვიდეს წმინდა გრიგოლ ფერაძის მადლი, აეხილოს გონების თვალი, დაუბრუნდეს საღად განსჯის უნარი, შეინანოს დანაშაული და მარადიული ტანჯვისაგან იხსნას ცოდვილი სული. ქართველი კაცი ბუნებით მიმტევებელია და წყენასაც ადვილად დაივიწყებს, თუკი გულწრფელ სინანულს დაინახავს.

თეიმურაზ ჯანელიძე

კაცი, სინდის-ნამუსის განსახიერება

კარლო ქობალია – 85

85 წელი არაა პატარა ასაკი, მაგრამ პატარა დროა იმისათვის, რომ ჯეროვნად შეაფასო ღვაწლმოსილი მეგობრის განვლილი გზა.



კარლო ქობალია მუდამ პროფესიონალიზმით და სიმართლის გზაზე იდგა და დღესაც ამ გზით დადის.

ზუგდიდი ცნობილია ღირსეული ადამიანებით, სწორედ მათ შორისაა ბატონი კარლო თავისი უმწიკვლო ცხოვრებით და შრომითი ბიოგრაფიით.

ბატონი კარლო ქობალია დაიბადა 1939 წლის 10 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ირიცხება საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე. სწავლასთან ერთად მუშაობას იწყებს მშობლიურ სოფელში და მთელი ცხოვრება მიუძღვნა მეცხოველეობის დარგის განვითარებას.

აქ მან გამოავლინა ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა. სწორედ ამან განაპირობა მისი დაწინაურება, იყო მეფრინველეობის, მეღორეობის, ორულუს რძის წარმოების კომპლექსების დირექტორი. შემდგომ მუშაობდა მეფრინველეობის სახელმწიფო ფაბრიკის დირექტორად. ბოლოს დაკავებული იყო კერძო მიზნესით. სადაც მან იმუშავა, ყველგან ჰქონდა წარმატებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მისი დირექტორობის პერიოდში მეღორეობის სამეურნეობათაშორისო კომპლექსი რესპუბლიკაში გახდა მომგებიანი საწარმო. მისი ეს გამოცდილება განზოგადდა რესპუბლიკის მასშტაბით.

ბატონ კარლოს არასოდეს არ აკლდა დაფასება, მაგრამ მისი უმაღლესი ჯილდო მის მიმართ გამოჩენილი ხალხის სიყვარული და პატივისცემაა. იგი უყვართ და სჯერათ მისი.

ზუგდიდში ცხოვრობს მეცხოველეობის დარგის უმაღლესი დონის სპეციალისტი და კარგი ორგანიზატორი. იგი დღესაც დარგის მოყვარულებს ეხმარება და უწევს კონსულტაციას.

კარლო ქობალიას შრომითი საქმიანობა მაგალითია თაობებისათვის. საამაყო და ღირსეული პიროვნების მოწოდება იყო და არის უანგარო, კეთილი საქმეების კეთება. კარლო არის სინდის-ნამუსის განსახიერება, კოლხური ტრადიციების ღირსეული მატარებელი და საამაყო მეგობარი.

იგი საამაყოა ოჯახითაც. შვილები და შვილიშვილები სასახელონი არიან.

ბატონ კარლოს გულითადად ვუღოცავთ დაბადებიდან 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს და მომავალშიც დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების გასახარად.

უახლოესი მეგობრები

იგორ ქობალია, ალვერ იზორია, თენგიზ შანავა, ემზარ კვარაცხელია, გული აგუმავა, მურთაზ ფაცაცია, დემურ ჭანტურია, ვაჟა ფიფია, ვლადიმერ (ვოვა) გულუა, დოდო ესართია, გულადი ჭეჟია, ნოე ჯაკონია, ფრიდონ ჯალალონია, გესარიონ გაბისონია.

ამბავი მანანა გურგენაშვილის სიკეთისა, უანგაროებისა და იმედისა...

ძვირფასო მკითხველო, ჩემი და სხვა ჟურნალისტების მონათხრობებიდან თქვენ უკვე კარგად იცნობთ მანანა გურგენაშვილს. ეს ის ქალბატონი გახლავთ, რომელსაც ღალატი არ შეუძლია, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ცხოვრებამ უღალატა – დაახლოებით წელიწადნახევრის წინათ ერთადერთი შვილი მოუკლეს – მაკა სევდიანშვილი. ამ უდიდეს ტრაგედიას დაემატა ისიც, რომ ბევრმა ვითომ მეგობარმაც

უმუხთლა და ზღვა ვალებში გადააგდეს, იძულებული გახდა მინა გაეყიდა და ნაწილობრივ მაინც დაეფარა სხვათა უკეთური ქცევის შედეგად დაგროვილი ვალი.

ახლა ეს შვილმკვდარი, უბინაო, უიმედოდ დარჩენილი ქალბატონი დგას თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩაზე და სოლოლაკელებს, თბილისის სხვა უბნელებს, დედაქალაქის სტუმრებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს სთავაზობს. მანანა გურგენაშვილი, განათლებით ეკონომისტი, ერთ დროს ცნობილი სავაჭრო ცენტრის – უნივერმაღ „თბილისის“ – უზარმაზარ სასაწყობე მეურნეობას უძღვებოდა წარმატებით. უძღვებოდა და დიდი ავტორიტეტით, სიყვარულითაც სარგებლობდა კოლეგებში, ის მუდამ მოწინავეთა შორის იყო. ამის შედეგი იყო, რომ არაერთხელ სწვევია მოსკოვში გამართულ ვაჭრობის მუშაკთა შეკრებებს საქართველოს სახელით. მანანას კარგად იცნობდნენ საქართველოს კომკავშირის და კომპარტიის მესვეურები. მაგრამ ეს იყო წინათ... ახლა კი ეს დამწუხრებული ქალბატონი ქართული პრესის გავრცელების სამსახურშია და აქაც ერთ-ერთი მოწინავე, ერთგული მუშაკია. დგას წვიმაში, ქარში, თოვაში, სიცხეში და ყიდის ჟურნალ-გაზეთებს. სოლოლაკის კოლონიტი შეარქვეს, ყველა პატივს სცემს, ყველა ესალმება. ბევრს არც კი იცნობს, მაგრამ ყველას ეფერება, სიკეთესა და ბედნიერებას უსურვებს...

ამას წინათ მანანამ მიამბო: თითქმის ყოველდღე ჩვენს ქუჩაზე ჩაივლიდა ხოლმე მსუბუქი ავტომანქანა, საიდანაც ახალგაზრდა მამაკაცი თბილად მესალმებოდა. ბუნებრივია, მეც სალმით ვპასუხობდი. ვფიქრობდი, ალბათ, ჩემი მაკას მეგობარი იყო. თურმე ვცდებოდი. ერთ დღესაც, ახალი წლის დღეებში, გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, საახალწლო ნობათი მომართვა, ჩამეხუტა, თბილად მომიკითხა:

– ქალბატონო, კარგა ხანია, გიყურებ ასე შავებში ჩაცმულს, გულზე გარდაცვლილი გოგონას ფოტო გიკეთია, თბილისელებისგან მსმენია თქვენ შესახებ. დღეს გადავწყვიტე, მოვსულიყავი და პირადად გამეცნეთ. მცირე საახალწლო ძღვენის გამო ნუ დამძრახავ. აწი უფრო ხშირად გინახულებ და რითაც შემეძლება, დაგეხმარები...

რა უნდა მექნა, ერთგვარად დავიბენი. ანუ არ ყოფილა მაკას მეგობარი, სრულიად უცნობი ახალგაზრდა იდგა ჩემ წინ და ჩემს ამოუთქმელ დარდს იზიარებდა. ჩავეხუტე, უღრმესი მადლობა გადავუხადე. მცირე ხანს ვისაუბრეთ, ჩემი სატკივარით დავტვირთე და ასე დამძიმებული გულით წავიდა. შემპირდა, რომ ფეისბუქში მოძებნიდა ჩემს გვერდს და უფრო ახლოს გაერკვეოდა. დავლოცე, წარმატებები ვუსურვე, მშობლები დავულოცე ასეთი კარგი შვილის აღზრდისთვის. ეს ხომ დღეს უკვე იშვიათობად იქცა. ვინ ვიყავი მე მისთვის ერთი გაუბედურებული დედა, უბრალო ქალი, თითქმის არავინ. რომ არ გამცნობოდა, მოხდებოდა რამე? არც არაფერი...

– ვინ იყო ეს კეთილშობილი ახალგაზდა მამაკაცი? – ჩავეკითხე ქალბატონ მანანას.

– მითხრა, გიგა ვარ გიორგაძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეო. უფრო მეტად გაკვირვებულ-გაოცებული დავრჩი. როგორც ჩანს, ყველაფერი არ არის დაკარგული, თუკი ჩვენს სამინისტროებში ასეთი ადამიანები მუშაობენ თანამდებობებზე. იცი, მას შემდეგ ასე მგონია, სულ ველოდები, თითქოს განვიცდი, როცა მისი მანქანა არ ჩაივლის ქუჩაზე. ალბათ, აქვე ცხოვრობს სადღაც. დალოცოს უფალმა გიგაც და მისი მშობლებიც. შინ მისული ინტერნეტს ჩავუჯექი და თავდაცვის სამინისტროს საიტს ვეწვიე. გრიგოლ (გიგა) გიორგაძე მართლაც მინისტრის მოადგილე ყოფილა. 24 მარტს 45 წლის ხდება და, მანანას სახელით, ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით, ვულოცავ ამ საიუბილეო დაბადების დღეს. მართლაც დალოცოს უფალმა ეს კეთილშობილი ადამიანი, ბედნიერება მის ოჯახს!

ამირან გუთურიშვილი

P.S. **პირველ ფოტოზე ბრიგოლ (გიგა) გიორგაძეს ხედავთ; მეორე სურათზე კი მანანა გურგენაშვილია, ეს ფოტო იმ დროინდელია, როცა ჯერ კიდევ „ბედნიერი“ იყო ქალბატონი მანანა, უჭირდა ფინანსურად, მაგრამ, სამაგიეროდ, ცოცხალი ჰყავდა შვილი და ცოცხალი იყო იმედი უკეთესი მომავლისა...**

ვისი მაზაკვალია ანდრეი შარაშიძე?!

ამოღებულია რამდენიმე ერთეული ასაფეთქებელი მოწყობილობა და დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელთა გადაადგილებასაც ორგანიზებას უწევდა უკრაინის მოქალაქე ანდრეი შარაშიძე

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად რამდენიმე ერთეული სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობა და დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება ამოიღო, – ამის შესახებ **სუს-ში** გამართულ ბრიფინგზე 5 თებერვალს განაცხადეს.

უწყების ცნობით, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ კონკრეტული ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ელექტრომანქანისთვის განკუთვნილი ორი ერთეული აკუმულატორი. სუს-ის ცნობით, არსებული აკუმულატორები გამოყენებული იყო კონტეინერებად.

ორივე მათგანში, ჯამში, განთავსებული იყო ექვსი ერთეული სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობა. აღნიშნული კონტეინერებიდან სპეციალური გამნაღმველი ჯგუფის მიერ ამოღებულ იქნა ასაფეთქებელი მოწყობილობები და ნივთიერება, რაც ექსპერტიზისათვის გადაიგზავნა სუს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში. ხოლო ფარული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ კონტეინერებს დაუბრუნდა პირვანდელი ვიზუალური სახე და ე.წ. მულაჟების სახით კვლავ დაბრუნებულ იქნა ზემოაღნიშნულ ამანათში, რათა წარმოებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ არ გამხდარიყო ცნობილი როგორც დამკვეთების, ისე შემსრულებლებისთვის. ამანათის შემდგომი გადაადგილების პროცესი, რა თქმა უნდა, კონტროლდებოდა კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების მთავარ მიზანს წარმოადგენდა დამკვეთებისა და დამატებითი პირების დადგენა, რომლებიც, შესაძლოა, ჩართულნი ყოფილიყვნენ აღნიშნული ტვირთის ტრანსპორტირების საქმეში, ასევე, დადგენილიყო ასაფეთქებელი მოწყობილობების გადაადგილების მარშრუტი და მათი გამოყენების საბოლოო მიზნები.

დადგენილია, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობები სამხედრო წარმოების პლასტიკურ ასაფეთქებელ ნივთიერებას C-4-ს შეიცავს, რომლის მოქმედებაში მოყვანა შესაძლებელია ელექტროდეტონატორის და სპეციალური ტაიმერის საშუალებით. ასაფეთქებელი ნივთიერების საერთო წონა 14 კილოგრამს აღწევს. კონტეინერებში ასევე მოთავსებული იყო 6 ერთეული დეტონატორი და 6 ერთეული სპეციალური გასაღები. ასაფეთქებელი მოწყობილობის ექვსივე ინდივიდუალურ ყუთში დამონტაჟებული იყო მოქმედებაში მოსაყვანი ამდენივე ელექტრონული ტაიმერი, რომელშიც პროგრამულად უკვე ჩაწერილი იყო მოქმედებაში მოსაყვანი დრო.



ამოღებული მოწყობილობების პირველადი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ექვსივე მოწყობილობა დამზადებულია მაღალი დონის სპეციალისტის მიერ და გათვლილია დაზიანების ფართო რადიუსზე. ხალხმრავალ ადგილებში მსგავსი მოწყობილობის ამოქმედება გამოიწვევდა ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან დაზიანებას და მასშტაბურ მსხვერპლს. აღნიშნული ნივთიერების მუხტი სიმძლავრით ბევრად აღემატება ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილის მუხტს.

კონტრტერორისტული ცენტრის მიერ კომპლექსურად ჩატარებული მოქმედებების შედეგად, გამოკითხული მოწმეების ჩვენებებისა და ამოღებული აუდიოფაილების საფუძველზე დგინდება, რომ ხსენებული ასაფეთქებელი მოწყობილობები და ნივთიერება უკრაინის ქალაქ ოდესიდან რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის გავლით, მიმდინარე წლის 19 იანვარს საქართველოში შემოიტანეს საკონტროლო-გამშვები პუნქტით „სარფი“ უკრაინის მოქალაქის მფლობელობაში არსებული მინივენის ტიპის ავტომობილით და იგივემებოდა მისი გატანა რუსეთის ფედერაციაში, კონკრეტულად, ქალაქ ვორონეჟში, საკონტროლო-გამშვები პუნქტის, „დარიალის“ მეშვეობით.

მოგვიანებით, დამკვეთის დავალებით გადაწყვეტილება შეიცვალა და პროცესში ჩართულმა პირებმა ერთ-ერთი კონტეინერის, სადაც სამი ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო მოთავსებული, ქვეყნიდან გატანა სცადეს აღნიშნული პუნქტიდან. ხოლო მეორე კონტეინერი, სამი ასაფეთქებელი მოწყობილობით, დატოვეს თბილისში კონკრეტულ მისამართზე. კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ შეჩერებულ და ამოღებულ იქნა აღნიშნული გზავნილი იმ დროს, როდესაც მას უნდა გადაეკვეთა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი საქართველოს მხრიდან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილია, რომ აღნიშნული ასაფეთქებელი მოწყობილობების საქართველოში შემოტანაში, ქვეყნის მასშტაბით გადაადგილებაში, ერთ-ერთი კონტეინერის რუსეთის ფედერაციის მიმართულებით ტრანზიტულად გატანაში, ხოლო მეორე მათგანის დედაქალაქში განთავსებაში ჩართული იყო საქართველოს – შვიდი, უკრაინის – სამი და სომხეთის ორი მოქალაქე. საქმის მასალებით, აღნიშნულ პროცესს ორგანიზებას უწევდა უკრაინის მოქალაქე, 2020 წელს ოდესის ოლქის ადგილობრივი რადას კიევის რაიონის დეპუტატობის კანდიდატი პარტიიდან „ხალხის მსახური“ ანდრეი შარაშიძე, რომელიც წარმოშობით ქალაქ ბათუმიდანაა. აღნიშნული პირი საქართველოს ფარგლებს გარედან აქტიურ მეთვალყურეობას უწევდა ზემოხსენებული ასაფეთქებელი მოწყობილობების გადაადგილებას. გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული პირებისთვის, გარდა შარაშიძისა, სავარაუდოდ, ცნობილი არ იყო მანქანის აკუმულატორებში განთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და კაფსულ-დეტონატორების შესახებ.

ამჟამად მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებები დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირების მხილების, სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადების, გადაადგილების მარშრუტის, საბოლოო დანიშნულების ადგილის დადგენის, თავდასხმის ობიექტების იდენტიფიცირების და სამხილების მოპოვების მიზნით.

რაც შეეხება ქალაქ თბილისში დატოვებულ სამ ერთეულ ასაფეთქებელ მოწყობილობას – განკუთვნილი იყო რუსეთში გასატანად თუ უნდა დარჩენილიყო საბოლოოდ საქართველოში მოქმედებაში მოსაყვანად, ამას მიმდინარე გამოძიება დაადგენს. თუმცა აღნიშნული საქმის დეტალები და ფაქტობრივი მდგომარეობა იძლევა იმის ეჭვის საფუძველს, რომ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება და მთელ ამ პროცესში საქართველოს მოქალაქეების მრავლად ჩართვა ემსახურებოდა იმ მოსაზრების შექმნას, რომ ტერორისტული აქტები, რომლებიც განხორციელდებოდა საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, დაბრალებოდა საქართველოს, როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ნაწილში.

ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრი გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც გულისხმობს ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვას. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ექვს წლამდე. თუმცა გამოძიების პროცესში, შესაძლოა, დაზუსტდეს კვალიფიკაცია და გამოძიება ასევე 18-323 მუხლით გაგრძელდეს, რაც ტერორისტული აქტის მომზადებას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

აღნიშნულ საქმეზე კომპლექსურად მიმდინარე ღონისძიებებში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს.

საქართველოს უსაფრთხოების სამსახური

„ლისი ლეიქ დეველოპმენტი“ ობლიგაციების მფლობელთა შეცდომაში შეყვანას აღიარებს და ობლიგაციების ვადამდე განაღდებას სთავაზობს

კომპანია „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ (სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ნიკა ხაზარაძე, ეკატერინე შავგულიძე, ბოგ მეიერი, თამარ ჯაფარიძე) აუდიტორული კომპანია „Erns&Young“-ის შემოწმების შედეგად, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით არსებითი შეცდომები გამოიკვეთა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის მიერ გამჟღავნებულ ფინანსურ მონაცემებზე, – ამის შესახებ საუბარია კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადების თანახმად, EBIDTA (გამოთვლილია, როგორც საოპერაციო მოგებას გამოკლებული საოპერაციო ხარჯები) თითქმის განახევრდა და 3,217.000 აშშ დოლარით შემცირდა, ხოლო EBIDTA ერთჯერადი ტრანზაქციის გამოყენებით უფრო მეტად, თითქმის 57%-ით შემცირდა – კერძოდ, 5,660.000 აშშ დოლარიდან 2,443.000 აშშ დოლარამდე. ამასთან, კომპანიას ფინანსური დანახარჯები 645.000 აშშ დოლარით გაეზარდა, რაც დანახარჯების თითქმის 58%-იან ზრდას უდრის და ასევე, 2021 წლის მოგება შემცირდა 2.159.000 აშშ დოლარით.

ამასთან, ფინანსური ინფორმაციების გადაანგარიშების შედეგად, კომპანიის მარაგები 34,468.000 აშშ დოლარით შემცირდა, რაც თითქმის 62%-იანი კლების ტოლია, ხოლო საინვესტიციო ქონება 24,24%-ით გაიზარდა. ასევე, კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები 7.83%-ით, ანუ 1,280.000 აშშ დოლარით შემცირდა, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები 3,355.000 აშშ დოლარით გაიზარდა, ანუ რაც თითქმის 37%-იან ზრდას უდრის.

ჯამში შემცირდა ასევე კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 7,138.000 აშშ დოლარით, ასევე კომპანიის

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ



ᲒᲐᲕᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲔᲑᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ?!

ᲢᲠᲐᲜᲡᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲣᲠᲘ „ᲥᲝᲚᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚ ᲙᲝᲚᲔᲓᲒᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ „ᲥᲝᲚᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ. ᲓᲐᲚᲣᲫᲣᲚᲘᲐ ᲘᲡᲐᲜᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲝᲤᲘᲡᲔᲑᲘ, ᲐᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ. „ᲥᲝᲚᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ ᲐᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲤᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

ᲢᲠᲐᲜᲡᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲤᲐᲠᲓᲐᲗ. ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲥᲕᲗ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲓ ᲓᲐ ᲖᲝᲛᲐᲓ 9-ᲓᲐᲜ 12 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲖᲔ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲘᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ. ᲡᲙᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ.

ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲓᲠᲐᲫᲘᲡ** ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲖᲔ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ. ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ ᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ, ᲢᲠᲐᲜᲡᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 4 ᲥᲐᲚᲒᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲐ 3 ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲐ. ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲜᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲡ, ᲜᲐᲜᲐ ᲙᲝᲠᲡᲐᲕᲐᲡ, ᲔᲚᲖᲐ ᲓᲐᲡᲡ, ᲜᲝᲜᲐ ᲤᲐᲠᲔᲯᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲒᲐᲮᲘᲫᲔᲡ, ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲧᲘᲧᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲖᲔ ᲐᲠ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ, ᲕᲘᲗ ᲓᲒᲐᲡ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ „ᲥᲝᲚᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲞᲐᲜ.

ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲚᲐᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ, **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲔ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ** ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲐ.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ, ᲒᲐᲒᲐ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲧᲝᲤᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲚᲡᲛᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ.

„ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲐᲣᲗᲔᲑᲐ. ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲩᲔᲛᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕ ᲞᲘᲠᲡ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲚᲡᲛᲝᲑᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲢᲝᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲝᲡ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲦᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲐ.

Ე.Წ. ᲥᲝᲚ-ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ ᲘᲠᲛᲐ ᲭᲙᲐᲓᲣᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲐᲠ ᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ.

„ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲐᲠ ᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ. ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲚᲓᲠᲝᲗᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲛ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ. ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, 2023 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲗᲔᲒᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲢᲠᲐᲜᲡᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲛᲭᲘᲚᲔ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡ „ᲥᲝᲚᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲯᲐᲡᲢᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲝᲐᲖᲔ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ.

ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲚᲝᲪᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ Ე.Წ. ᲗᲐᲝᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡ „ᲥᲝᲚᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲡ“, ᲐᲗᲝᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ

ᲠᲮᲠᲔᲙᲐ. ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ, ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ. ᲐᲗᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲫᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ. ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲫᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲖᲐᲖᲔ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲚᲝᲪᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲠᲔᲓᲒᲘᲜᲐᲗ.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲒᲝᲚᲝᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲘᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲝᲗ, - ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Aqualia-Ს ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲛᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲮᲝᲡᲔ ᲔᲜᲠᲘᲙᲔ ᲑᲝᲤᲘᲚᲘᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲗᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ Aqualia ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲘᲗ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ, ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ-ᲨᲘ. ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲚᲘᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲕᲚᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲠᲔᲓᲒᲘᲜᲐᲗ.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲠᲔᲜᲓᲔᲑᲘ - ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ „ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲠᲔᲜᲓᲔᲑᲘ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ – Playtime Paris 2024-ᲖᲔ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲔᲜ.

27-29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ, ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲡ

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

...კენწეროში გაჭკბილდების

გერმანულ დესაუში მოპოვებული მძიმე გამარჯვებით შეუყვა კლოდ სორელისა და მილტონ ჰეიგის გაკვალულ მილიკს რაგბი ევროპის ჩემპიონატის 15-გზის ტრიუმფატორის – საქართველოს ეროვნული ნაკრების ინგლისელი მთავარი მწვრთნელი რიჩარდ პოჯერილი, თუმცა გასათვალისწინებელია ყანის მსგავსი მინდვრისა და დეგიუტანტთა სიმრავლით გამორჩეული გადახალისებული შემადგენლობის ფაქტორიც.

მოხდა ისტორიული ფაქტიც – გუნდის კაპიტანმა **მერაბ შარიქაძემ** მეასედ მოირგო ბორჯღალოსანთა კვართი და თანამემამულეთა შორის მე-7, მთლიანად კი კოლეგებში 97-ე ცენტურიონი გახდა, ხოლო სანუკვარი მიღწევა გადამწყვეტი ლელოთი აღნიშნა. რაც შეეხება რეზიუმეს, დერეფანში დაშვებული შეცდომები, უკვე მერამდენედ, შერკინებაში გამოვასწორეთ, ასე რომ, ბრიტანელ სპეციალისტს სამუშაო თავზე საყრელად აქვს.

საქართველო (15-9): ცირეკიძე (კახოიძე), ტაბუცაძე, კვესელაძე, შარიქაძე, მოდებაძე, მატკავა (აბუანდაძე), ალანია (ხუროშვილი); (1-8) – ახალაძე (მამაიაშვილი), კარკაძე (ნიორაძე), აფციაური (ქართველიშვილი), ჭეიშვილი (ბაბუნაშვილი), ჯავახია, ივანიშვილი, ცუცქირიძე, სპანდერაშვილი (შვანგირაძე).

4 ლელო: საჯარიმო, სპანდერაშვილი, შარიქაძე, მოდებაძე.

4 გარდასახვა: მატკავა.

გაძევება: ქართველიშვილი.

ნიდერლანდები – ესპანეთი 18:20.

10 თებერვალს 14 საათზე ავჭალა არენაზე ნიდერლანდებს ვუმასპინძლებთ.

ორიოდე სიტყვით

სნოუბორდი

ამ დღეებში გუდაურმა ჩვეული ფურორი მოახდინა სპორტის ზამთრის სახეობების სამყაროზე და ღირსეულად უმასპინძლა სნოუბორდში მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგ ეტაპს.

რაც შეეხება გამარჯვებულთა ვინაობას, შესაბამისად, ყველას კანადელმა (ვაჟთა ორივე დაშვება), ფრანგმა და ინგლისელმა სტუმრებმა აჯობეს. დამდეგ უქმეებზე ელიტა უკვე ბაკურიანის თეთრ ტრასებზე შეიკრიბება.

ძიუდო

ჩვენი ოლიმპიური იმედი ფატო გრიგალაშვილი პირველი ქართველია, ვინც შარშან მეორედ, თანაც კარიერაში ზედიზედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და სავსებით ლოგიკურია, რომ ასევე მეორედ დასახელდა პლანეტაზე 2023 წლის საუკეთესო ძიუდოისტად (81 კგ).

აღსანიშნავია, რომ 5 ნომინანტს შორის ლუკა მაისურაძეც (90 კგ) ფიგურირებდა.

ჩოგბურთი

შარმ ელ-შეიხი (ეგვიპტე). ქალთა 25-ათასიანი ტურნირი. ოქრო – მარიამ ბოლქვაძე.

ვილნიუსი (ლიეტუვა). დევისის თასის გათამაშების მსოფლიოს პირველი ლიგის პლეიოფი. ლიეტუვა – საქართველო 3:2. ამ დამარცხების შედეგად ჩვენი გუნდი წლეულს სექტემბერში მეორე ლიგის ნაკრებებს შეხვდება.

კუდო

საქართველოს ნაკრების გუნდური ტრიუმფით დასრულდა მალტაზე გამართული ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი, სადაც ორ წონაში ქართული ფინალი გათამაშდა, სულ კი ჩვენი დელეგაციის 10 წევრიდან 9 სამშობლოში მედლით დაბრუნდა (5 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო).

ფარიკაობა

გუქარესტი (რუმინეთი). 17-წლამდელთა ევროპის თასის გათამაშება (ხმალი). ოქრო – ალექსანდრა კუვაევა (მწვრთნელი – საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ბაზაძე).

აღსანიშნავია, რომ მან ტურნირის თორმეტივე შეხვედრა მოიგო! დავძენთ, რომ კარპატებში უცხოელ კოლეგებთან ერთად ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის ლიცენზირებულმა ქართველმა არბიტრებმა **თათია აფციაურმა** და **ზაზა მჭედლიძემ** იმსაჯეს.

◎ კოლეგები

მჯობნის მჯობნი...

უკვე გაუწყეთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიამ სწორუპოვარი ათლეტის ლაშა ტალახაძის 7-წლიანი ჰეგემონია დაამხო და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციის ვერსიით ქვეყნის გასული სეზონის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს, თუმცა ჯილდოს გარეშე არც პლანეტის უღონიერესი ადამიანი დარჩენილა – მას 21-ე საუკუნის განვლილი პერიოდის რჩეულისთვის დაწესებული სპეციალური ჯილდო გადაეცა.

სხვათა შორის, ნაპოლის ლიდერმა თანამემამულე კალმოსანთა აღიარება დიდებული თამაშით აღნიშნა და იტალიის ჯერაც მოქმედ ჩემპიონს სერია – ა-ს 23-ე ტურის უმძიმესი საშინაო შეხვედრა შორეული ზღაპრული დარტყმით ბოლო წუთზე მოაგებინა გათამაშების აუტსაიდერ ვერონასთან 2:1, რომელსაც აპენინურ კარიერაში, დებიუტიდან მოყოლებული, სტაბილურად ამწარებს – 8-ჯერ დაემუქრა, საიდანაც 2-ჯერ ბურთი სტუმართა გოლკიპერმა მოიგერია, 3-ჯერ მცველებმა დაბლოკეს და 2-ჯერ არაზუსტად დაარტყა, ხოლო მისი აქტიურობის შედეგი პარტნიორთა შორის დამსახურებული ყველაზე მაღალი შეფასება გახლავთ.

მოკლედ, 7-მატჩიანი მშრალი სერია 2024-ში გატანილი პირველი გოლით შეწყდა, მთლიანად მიმდინარე კალჩოში კი მისი პირადი მონაგარი უკვე ასეთია: 6 გატანილი ბურთი, 4 შედეგიანი გადაცემა და 2 გამომუშავებული პენალტი, ხოლო მორიგ სერიოზულ გამოცდას მაძარის გუნდი 11 თებერვალს სტუმრად მილანთან ჩაატარებს. ჯერჯერობით კამპანიელები 35 ქულით სატურნირო ცხრილში მე-7 პოზიციაზე არიან, ჩვენ კი რესპუბლიკა ივენთ ჰოლს დავუბრუნდეთ და დანარჩენ ნომინაციებში გამარჯვებულებსაც გავეცნოთ:

ანასტასია გუბანოვა, ირმა ხეცურიანი, მაია აზარაშვილი, გიორგი ცხოვრებაძე, რამაზ სვანაძე, ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები და ამ აღორძინებული სახეობის ფედერაცია. ვფიქრობთ, ყველანი ღირსეულნი არიან, მაგრამ ორგანიზატორებს რაიმე ფორმით, ალბათ, ლეგენდარული ნინო სალუქვაძის წახალისებაც მართებდათ, რომელიც ზაფხულში პარიზში თავის მე-10(!) ოლიმპიადაზე იასპარეზებს.

...თვით ღონისძიება კი, რომელსაც ჩვეული შარმით უძღვებოდნენ მანიკა ასათიანი და ზურაბ თალაკვაძე, ჩვენი კოლეგების დაფასებით დაიწყო და მასში აქტიურად მონაწილეობდა დაუვიწყარი ჯამლეტ ხუხაშვილის ქვრივი ევა ბაბალაშვილი. სიმბოლურია, რომ სწორედ მან გადასცა მიკროფონის დიდოსტატთა სახელობის პრემიები სამაგალითო პროფესიონალებს: ეროსი მანჯგალაძის პრემია – დავით ქლიბაძეს (თაობათა საყვარელი საფეხბურთო ტელეგადაცემების – 45 წუთი, ევროპის სტადიონებზე, სპორტული კალეიდოსკოპი) ავტორს და არჩილ გოგელიას (ლელოს, მართვესა და საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის რეფორმატორ თავკაცს); კოტე მახარაძის

პრემია – მის ვაჟს, სამთო-სათხილამურო სპორტის გამოუსწორებელ ტრფიალს ივიკო მახარაძესა და ჭიდაობის პროფესორის – დიდი ვახტანგ ბალავაძის ასულს, ხუთი რგოლის შესანიშნავ პოპულარიზატორს თამარ ბალავაძეს.

ეს წერილი იტალიაში თანამედროვე ქართველ ემისარზე საუბრით დავიწყეთ და ამავე თემატიკით დავასრულებთ. დიახ, სავსებით ლოგიკურია, რომ ლელოს ლეგენდარული რედაქტორის მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიით აღინიშნა ჩვენი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ წიგნუხვი კოლეგის ლაშა გოდუაძის ახალი ნაღვაწი „ვარადონა“. ვულოცავთ ლაურეატებს!

და ბოლოს: ტრადიციისამებრ, ქართული სპორტის წარმატებათა მასაზრდოებელი წყარო სახელმწიფოსთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობაა, სტაბილური პარტნიორობისთვის კი ცერემონიალზე მადლიერების გრძნობით მოიხსენიეს ბიზნესწრეების მთელი რიგი ღირსეული წარმომადგენლები, მათ შორის – ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ბარკალაია, რომელიც პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელს რამდენიმე თვის წინათ ჩაუდგა სათავეში და მხოლოდ უშუალო მოვალეობის შესრულებით არ კმაყოფილდება. ვიმედოვნებთ, ოლიმპიელები სათანადოდ დააფასებენ მათ ამაგს.

სექსუალურ მანიაკს 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება!

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში არასრულწლოვანმა იმშობიარა. გოგოს გაუპატიურების მრალდებით პოლიციამ მოზარდის მამა დააკავა.

რადიო თავისუფლების ინფორმაციით, 4 თებერვალს კაცს ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ამ ეტაპზე უცნობია, აღიარებს თუ არა კაცი მის მიმართ წაყენებულ მრალს.

17 წლის მოზარდმა რამდენიმე დღის წინ ნაადრევად იმშობიარა, ნაყოფი დაიღუპა. კლინიკა არასრულწლოვანმა 5 თებერვალს დატოვა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

„ბავშვი საავადმყოფოში გამოკითხეს. იქ მოყვა, რომ მას ორი წლის განმავლობაში აუპატიურებდა მამა. სადმე თუ იტყვი, ყველას დავხოცავო, ემუქრებოდა შვილს“ – ამბობს გამოცემასთან საუბარში თანასოფლელი.

17 წლის გოგომ სკოლა შარშან დაამთავრა. მისი თქმით, ყოფილი მოსწავლისთვის არასდროს შეუმჩნევიათ, რომ ის შესაძლოა, ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო.

100 000-ს ევროდ გაყიდული ჩვილები და ტრეფიკინგის უმძიმესი ბრალდება!

100 000 ევროდ გაყიდული ჩვილები და ტრეფიკინგის უმძიმესი ბრალდება ექიმებს – დანაშაულის ადგილი კუნძული კრეტაა, თუმცა კვალი საქართველომდეც მოდის. საქართველოდან საბერძნეთში დონორად წასული სუროგატი დედები საზარელ ისტორიებს ჰყვებიან – ისინი მოატყუეს. ორსულობის პერიოდი უმძიმეს გარემოში გაატარებინეს თანაც ისე, რომ აუკრძალეს კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. ეს ყველაფერი კი მხოლოდ 15 000-ს ევროს სანაცვლოდ.

სუროგატი ქართველი დედის აღსარება შემზარავია, თუმცა გერმანულ მედიაში გასული რეპორტაჟი სევდიან ამბავს არ ეხება. თემით მედია მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ბერძენმა სამართალდამცველებმა კუნძულ კრეტაზე, ჩვილებით ვაჭრობის სავარაუდო სქემა გაშიფრეს. კვალი კი საქართველომდე მივიდა.

გზა, საქართველოდან საბერძნეთამდე ქართულ კლინიკაზე გადის – გამოძიების მასალებით, საქართველო შუამავალი რგოლია. ქართველ სუროგატ დედებს ბერძნულ კლინიკასთან სწორედ ქართველი ექიმები აკავშირებდნენ, სწორედ ამიტომ გამოძიება ქართული გვარებითაც

ინტერესდება. „კურიერი P. S.-მა“ ექსკლუზიურად ჩაწერა ექიმი, მაია ჩაკვეტაძე, რომელიც საქმის მასალებში ფიგურირებს, მედიკოსი მრალდებას უარყოფს, თუმცა ადასტურებს, რომ მისი რეკომენდაციით კუნძულზე რამდენიმე ქალი ნამდვილად მოხვდა.

„იყო რამდენიმე შემთხვევა როცა ქალებს არ სურდათ საქართველოში სუროგაცია და მე დავაკავშირე საბერძნეთის კლინიკას. ვეხმარებოდი მათ მხოლოდ დოკუმენტაციის მოწესრიგებაში, თარგმნაში. მე საქართველოში ლეგალური კომპანია მაქვს, ვსაქმიანობ აბსოლუტურად კანონის ჩარჩოებში. ჩემი სახელი ნახსენებია ალბათ იმიტომ, რომ რამდენიმე ქალს, ვისაც აქ არ სურდა სუროგატი დედა გამხდარიყო, მივაწოდე ინფორმაცია, რომ საბერძნეთში არსებობს ასეთი კლინიკა“, – ამბობს ექიმი.

კითხვაზე, თუ რა სარგებელს იღებდა? – მაია ჩაკვეტაძე ამბობს, რომ მას არანაირი ფინანსური დაინტერესება არ ჰქონია.

ვარშავაში ლატარიის ბილეთების ქურდობისთვის ქართველები დააკავეს

ადგილობრივი მედიის ცნობით, ქართველებმა ერთ-ერთ მენზინგასამართ სადგურზე ლატარიის 200, გადასაფხეკი ბილეთი მოიპარეს.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა. პოლიციამ დამნაშავეები სათვალთვალო კამერის ჩანაწერიდან იპოვეს. მათივე ცნობით, ზარალი დაახლოებით 2 000 ზლოტს შეადგენს. თუმცა, რა თანხა მოიგეს ქართველებმა, უცნობია. დაკავებულებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ავტოავარიას 19 წლის ბიჭი ემსხვერპლა!

ქუთაისი-ზესტაფონის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 19 წლის ბიჭი, გიორგი სოფრომაძე ემსხვერპლა. თვითმხილველების ინფორმაციით, შემთხვევა მდინარე ჭიშურასთან მოხდა.

ავარიის დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

უკრაინაში რუსეთის ჯაშუშური ქსელი გამოავლინეს

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა უკრაინულ სპეცსამსახურებში რუსეთის ჯაშუშური ქსელი გამოავლინეს. უწყების ინფორმაციით, უკრაინაში მოქმედ „ფეესბეს“ ჯაშუშურ ქსელში შედიოდნენ უკრაინის სპეცსამსახურების ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირები.

სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში ხუთი ადამიანია დაკავებული. დაკავებულებს შორის არიან უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს და უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი თანამდებობის პირები, ასევე უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის რეგიონული სამმართველოს ერთი თანამშრომელი.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, საქმის ფიგურანტებს კავშირი ჰქონდათ ერთსა და იმავე კურატორთან, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის თანამშრომელთან, რომელიც ამჟამად ოკუპირებულ ყირიმში იმყოფება. გამოვლენილი ჯაშუშური ქსელის ამოცანა იყო აგრესორი სახელმწიფოსთვის უკრაინის თავდაცვის ძალებისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ენერგოობიექტების შესახებ სადაზვერვო მონაცემების გადაცემა.

გამოძიების ინფორმაციით, რუსული სპეცსამსახურები ჯგუფის მონაწილეებს სხვადასხვა მეთოდებით იმირებდნენ, მათ შორის მათი ოჯახის წევრების მოკვლის მუქარებით. გარდა ამისა, თითოეული შესრულებული დავალებისთვის ისინი ანაზღაურებას იღებდნენ. ხუთივე დაკავებულს სახელმწიფო ღალატში ედება ბრალი. მათ წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს ქართულ-ამერიკული სამშენებლო საწარმო LTD „GACC“-ის ქ. თბილისში საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტის წარმოება

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს ქართულ-ამერიკული სამშენებლო საწარმო LTD „GACC”

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: სამგორის რაიონის გამგეობა

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 26 თებერვალი, 12:00 საათი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა (მის: მოსკოვის გამზირი №14)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 27 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი№150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 30 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

ძლიერი ქარი და წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

ძლიერმა ქარმა და წყალდიდობამ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს ზარალი მიაყენა. ქარმა სახურავი გადახადა მრავალმინიან საცხოვრებელ სახლს მარტვილში, ასევე რამდენიმე კერძო სახლს ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში. სახურავი დაუზიანდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლასაც, სადაც სასწავლო პროცესი შეწყვეტილია.

ძლიერი ქარის შედეგად მოგლეჯილი ხეებისგან გზის სავალი ნაწილები გაიწმინდა. სოფლების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება. წყალდიდობა იყო ანაკლიაში, მდინარე ენგური კალაპოტიდან გადმოვიდა და სანაპიროსთან მცხოვრები 7 ოჯახი დაიტბორა. რაც შეეხება მესტიას, ჯვარი-მესტიის მიმართულებით ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. მოხერხდა ზვავის შედეგად ჩაკეტილი 19 მოქალაქის ტერიტორიიდან გამოყვანა.

აჭარის რეგიონში სტიქიასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აჭარის რეგიონში, ქედის მუნიციპალიტეტში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქედის რაიონული სამმართველოს უბნის უმცროსი ინსპექტორის თემურ ბარამიძის გარდაცვალების გამო, – აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

„თემურ ბარამიძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მეწყერის ჩამოწოლის შედეგად გარდაიცვალა. ამავე რეგიონში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანაში, ჩამოწვა ზვავი და მოიყოლა ორი ადამიანი, რის შედეგადაც გარდაიცვალა ერთ ადამიანი, მეორე კი უსაფრთხო ადგილას არის გადაყვანილი. სტიქიის ადგილზე იმყოფებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები, ასევე, მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა და აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამუშაოები.

სტიქიაა, ასევე, დასავლეთ საქართველოს კიდევ რამდენიმე რეგიონში, სადაც შესაბამისი სამსახურები, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფია მობილიზებული“, – აღნიშნულია განცხადებაში.

დიდი მსახიობის იუბილე მშობლიურ სამტრედიაში



ეროსი მანჯგალაძის სახელობის სამტრედიის დრამატულ თეატრში დიდი ქართველი მსახიობის, ეროსი მანჯგალაძის, საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თეა წულუკიანი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი დავით მახტაძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თეატრალური სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საღამოზე გაცოცხლდა ეროსი მანჯგალაძის შემოქმედების ამსახველი საარქივო მასალა, მისი ცხოვრებისეული ეპიზოდები. მსახიობის ფილმებიდან და სპექტაკლებიდან სიმღერები შეასრულეს „თეატრალურის კვარტეტმა“ და ნეკა სეგისკვერაძემ. კონცერტმაისტერი იყო ნინო გულიაშვილი. საღამოს უძღვებოდა ნიკოლოზ წულუკიძე.

საღამო ხელოვანის მშობლიურ სამტრედიაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მონაწილეობითა და მიზნესმენ სერგო რუხაძის მხარდაჭერით გაიმართა.

დიდი მსახიობის მიერ თეატრში შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ივანე მრისხანე (ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“), ზიმზიმოვი (გ. სუნდუკიანის „პეპო“), ლოპესი (ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), გვადი (ლ. ქიაჩელის „გვადი მიგვა“), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), დათვი (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“), იური დევიატოვი (ა. გელმანის „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“), ვანო ფანტიაშვილი (ა. ცაგარლის „ხანუმა“) და სხვა.

ეროსი მანჯგალაძემ არანაკლებ საინტერესო სახეები შექმნა ქართულ კინოში. გუნებრივი არტისტიზმი, უშუალობა, ტემპერამენტი, ლამაზი ტემბრი, მუსიკალურობა, დახვეწილი იუმორი და ირონია განუმეორებელ მომხიბვლელობას ანიჭებდა მის ეკრანულ სახეებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროსი მანჯგალაძის მიერ ფილმების გახმოვანება. მისი ხმით მეტყველებენ ვასილ ჩხაიძის პერსონაჟები ელდარ შენგელაიას ფილმებში. გაახმოვანა თოჯინური პერსონაჟი თავადი ფანტიაშვილი მარიონეტულ ფილმში „კოჯრის ტყის სიზმრები“ და მრავალი სხვა. ეროსი მანჯგალაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ტელე- და რადიოთეატრის (რომელიც ამჟამად მისი სახელობისაა) განვითარებაში. მონაწილეობდა ტელესპექტაკლებში.

იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც სპორტული კომენტატორი. დაწესებულია ეროსი მანჯგალაძის სახელობის პრემიები სპორტულ რადიოჟურნალისტიკაში შეტანილი წვლილისა და ტელესივრცეში თეატრის პოპულარიზაციისათვის.

ცუკერბერგმა ერთ დღეში 28 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა



ამის მიზეზი Meta-ს აქციების ფასის რეკორდული ზრდა გახდა. Bloomberg-ის მილიარდერების ინდექსის მიხედვით, ცუკერბერგმა ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში დროებით ბილ გეითსსაც გადაუსწრო და სიაში მეოთხე ადგილი დაიკავა, თუმცა მალევე ჩამოქვეითდა. Meta-ს დამფუძნებელი ახლა მეხუთე ადგილზეა და მისი ქონება 142 მილიარდ დოლარს შეადგენს.

სიაში პირველ ადგილს ილონ მასკი 205 მილიარდი დოლარით იკავებს, მეორე ადგილზე არის ბერნარდ არნო – 185 მილიარდი დოლარით, მესამე ადგილს ჯეფ ბეზოსი 185 მილიარდი დოლარით იკავებს.

285 წლის ლიმონი - აუქციონზე

დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ნიუპორტში, აუქციონზე Brettells 285 წლის ლიმონი 1416 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

ხილის სიგანე 5 სანტიმეტრია. ის მე-19 საუკუნის ჩინურ სკივრში იპოვეს, როდესაც მას აუქციონზე გასაყიდად ფოტოებს უღებდნენ. ლიმონს აწერია: „1739 წლის 4 ნოემბერს ეს ლიმონი მისტერ პ. ლუ ფრანჩინიმ მის ე. ბაქსტერს აჩუქა“. ვარაუდობენ, რომ ფრანჩინიმ ხილი საჩუქრად საყვარელ ქალს კოლონიური ინდოეთიდან ჩაუტანა. ლოტის საწყისი ფასი 40-60 გირვანქა სტერლინგი იყო. აღსანიშნავია, რომ სკივრი, რომელშიც ლიმონი იპოვეს, მხოლოდ 32 გირვანქად გაიყიდა.

ინდოეთში 129 წყვილმა ერთად იქორწინა

გუჯარატის შტატში ერთდროულად 129 წყვილი დაქორწინდა. ცერემონია, ტრადიციული რიტუალის დაცვით, ადგილობრივი საზოგადოებრივი ფონდის ორგანიზებით ჩატარდა.

ფონდი მასობრივ ქორწილებს ყოველწლიურად აწყობს იმ წყვილებისთვის, რომლებმაც მეტწილად, ფინანსური მიზეზის გამო, დამოუკიდებლად დაქორწინება ვერ შეძლეს. ახალდაქორწინებულებს სოლიდური საჩუქრები, მათ შორის სახლის ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკაც გადაეცათ.

დიდ ბრიტანეთის მეფეს სიმსივნე დაუდგინდა

დიდ ბრიტანეთის მეფეს, ჩარლზ მესამეს სიმსივნე დაუდგინდა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბიბისი“ ბუკინგემის სასახლეზე დაყრდნობით ავრცელებს. ბუკინგემის სასახლე დამატებით დეტალებს არ აკონკრეტებს, თუმცა აღნიშნავენ, რომ მეფემ მკურნალობა უკვე დაიწყო.

როგორც ბუკინგემის სასახლეში აცხადებენ, მეფემ ყველა საჯარო ღონისძიება გადადო. მანამდე ჩარლზ მესამე პროსტატის ადენომის სამკურნალოდ საავადმყოფოში იანვრის თვეში გადაიყვანეს.

ოკეანეში ნაპოვნი თვითმფრინავი სავარაუდოდ ამელია ერჰარტისაა...

ამერიკელმა წყალქვეშა მკვლევრებმა წყნარ ოკეანეში სავარაუდოდ ცნობილი მფრინავის, ამელია ერჰარტის თვითმფრინავი იპოვეს.

სპეციალისტებმა ზღვის ფსკერის შესწავლისთვის განკუთვნილი აპარატით ოკეანეს ფსკერის ნაწილი დაასკანერეს. 4,9 ათასი მეტრის სიღრმეზე მათ ანომალია აღმოაჩინეს, რომელსაც ჰიდროლოკატორით გაკეთებულ ფოტოზე თვითმფრინავის ფორმა აქვს.

ფოტოები კუნძულ ჰაულენდიდან 161 კილომეტრშია გაკეთებული. ერჰარტის თვითმფრინავი Lockheed Electra სწორედ ამ კუნძულის მიდამოებში, 1937 წელს გაუჩინარდა, როდესაც ერჰარტი მსოფლიოს გარშემო ფრენას ახორციელებდა და ჰონოლულუში საწვავის მარაგის შესავსებად მიემართებოდა. კომპანია ამ ლოკაციაზე დამატებითი კვლევების ჩატარებას გეგმავს. ამელია ერჰარტი პირველი ქალია, რომელმაც დამოუკიდებლად გადაიფრინა ატლანტის ოკეანის თავზე, ის რამდენიმე ბესტსელერის ავტორია საკუთარი ფრენების შესახებ.

ენოტმა ტორონტო დენის გარეშე დატოვა

კანადაში, ქალაქ ტორონტოში, ენოტმა 7 ათასი ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. ცხოველი ენერგოკომპანია Toronto Hydro One-ის სადგურზე შევიდა და აღჭურვილობა დააზიანა. შედეგად, მომხმარებლები ელექტროენერგიის გარეშე თითქმის 2,5 საათის განმავლობაში იყვნენ. ენოტის ბედი ამ დრომდე უცნობია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 9 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6682; ევრო - 2.9042;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4051;
100 რუბლი - 2.9498; თურქული ლირა - 0.0882;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5698;
1000 სომხური დრამი - 6.6182

ამინდი 7 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-1,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე +6
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+4,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე +10
თბილისი:	ღამე	+3,	დღე +12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge